დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიკა ხვედელიძე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ირმა ხმელიძე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნინო შუბლაძე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

კახა გალდავა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

გვანცა მოლაშვილი უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტი

ნაია ენდელაძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

მარინე ჩახვაშვილი ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

მარინე ხუციშვილი სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

მზია დადვანი მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი მაკა ნატროშვილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი ქეთევან ქობალია სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	230078493

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზესტფონის მუნიციპალიტეტი სოფელი შორაპანი
იურიდიული მისამართი	I კორპუსი -ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფ. შორაპანი, ფარნავაზის ქ. N21 IIკორპუსი -ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფ. შორაპანი, ბატონიშვილის ქ. N4
ფაქტობრივი მისამართი	I კორპუსი -ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფ. შორაპანი, ფარნავაზის ქ. N21 IIკორპუსი -ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფ. შორაპანი, ბატონიშვილის ქ. N4
საფოსტო ინდექსი	**2000**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**shorapani@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	არ აქვს

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**2023 წლის 26 ივლისის N- MES 5 23 0000928321 ბრძანება**
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	21-22 აგვისტო, 2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული ენა	I კორპუსი-ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფ.შორაპანი ფარნავაზის ქ. N21 II კორპუსი-ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფ. შორაპანი ბატონიშვილის ქ. N4
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	**საბაზო**	ქართული ენა	I კორპუსი-ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფ.შორაპანი ფარნავაზის ქ. N21

				II კორპუსი-ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფ. შორაპანი ბატონიშვილის ქ. N4
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	**საშუალო**	ქართული ენა	I კორპუსი-ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფ.შორაპანი ფარნავაზის ქ. N21 II კორპუსი-ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფ. შორაპანი ბატონიშვილის ქ. N4

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ჯგუფის თავჯდომარე სკოლის მასალების მიღებისთანავე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაეკონტაქტა ჯგუფის წევრებს, ჩანიშნა ონლაინ შეხვდრა teams-ში. შეხვდრაზე გადანაწილდა ფუნქციები, მეორე სტანტარტზე მუშაობა დაევალა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტს, ხოლო პირველ, მესამე, მეოთხე სტანდარტზე მუშაობა ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. გაიმართა რიგგარეშე შეხვედრაც და ექსპერტები შეთანხმდნენ ვიზიტის დღეს საგნობრივი ჩართვების გრაფიკზე.

აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც საერთოდ არ ჰქონდა ვიზიტამდე შექმნილი ან ჰქონდა ხარვეზები, ესენია: 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა, შინაგანაწესის მოქმედი ვერსია, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, საგნობრივი კურიკულუმების შესწორებული ვერსიები, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები , საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, სკოლის სტრუქტურა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.

საგნობრივი ექსპერტების მიერ წარმართული გასაუბრების პროცესი სკოლის კათედრების წევრებთან წარიმართა გეგმის შესაბამისად.

ვიზიტის დროს საგნობრივი ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები კურიკულუმის ჩარჩოსთან დაკავშირებით მასწავლებლებმა გაითვალისწინეს და გასწორებული სახით წარმოადგინეს ვიზიტის შემდგომ დამატებით დოკუმენტაციაში. ვიზიტის დროს სკოლის დირექტორმა გაამზადა წერილი ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის შესახებ, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დაუკავშირდა საგანგებო გეგმის შეთანხმების თაობაზე, გამოთქვა მზაობა სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე შესაბამისი სამსახურის მოწვევისა და დასკვნის მომზადების თაობაზე.

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების, სასკოლო დოკუმენტაციისა და გარემოს შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა გამოთქვამს მზაობას ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამის დონეზე დასაკმაყოფილებლად, სკოლაში არის პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო, რაც დადებითად აისახება სასკოლო ცხოვრებაზე, ასევე მათ გაცნობიერებული აქვთ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები და მზად არიან იმუშაონ სუსტი მხარეების დასაძლევად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის საფუძველზე ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დავადგინეთ აქტივობები, რომლებიც სკოლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მიუთითებს:

სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლა აერთიანებს რამდენიმე სოფელს და 7 სკოლის ოპტიმიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული სკოლაა.

- სკოლა ჩართულია USAID სამოქალაქო განათლების პროგრამაში, რომლის ფარგლებში თანამშრომლობა საბაზისო განათლების პროგრამაში, პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა შედგა სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბ "თაობათა დიალოგთან'' დაგეგმა და განახორციელდა პროექტი ,,მე ვარ ტოლერანტი და მაშასადამე, არ ვარ მოძალადე" პროექტი მოიცავდა კვირეულს. კვირეულის ფარგლებში გაიმართა ბევრი საინტერესო აქტივობა: ფილმის ჩვენება, ნახატების კონკურსი, პრეზენტაციები ტოლერანტობის და ბავშვზე ძალადობის შესახებ, მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები, რომელიც თემში დარიგდა, სკოლის ეზოში მოეწყო სიმბოლური ,,ტოლერანტობის ჯაჭვი".
- სამოქალაქო განათლების კლუბ ,,როდენის მოაზროვნეებიის" მიერ მეწარმოეობის უნარების განვითარების მიზნით დაამზადეს ხელნაკეთი ნიოვთები, მოახდინეს მისი რეალიზაცია და შემოსული თანხით დაეხმარნენ მრავალშვილიან გაჭრივებულ ოჯახებს.
- სამოქალაქო განათლების კლუბის ინიციატივით და მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართულობით განხორციელდა სოციალური პროექტი ,,სიკეთე გადამდებია." აღნიშნულის ფარგლებში მოეწყო მოსწავლეთა ნამუშევრების, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა- გაყიდვა. შემოსული თანხით სასკოლო საზოგადოებამ ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა შინდისის გმირ ზაზა ფერაძის (ვის სახელსაც სკოლა ატარებს) დედას.

- მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით სკოლაში რამდენიმე პროექტი განხორციელდა. კერძოდ, ,,შავი ზღვის მავნე ყვავილობა" რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა დაამზადეს სტატიები სასკოლო გაზეთისთვის და დედამიწის დღესთან დაკავშირებული პროექტი სახელწოდებით ,,დედამიწა ჩვენი სახლია" რომელიც მოიცავდა რამდენიმე აქტივობას: ნახატების კონკურსი, ბუკლეტის დამზადებას, საკონფერენციო თემების მომზადებას.
- სკოლაში განხორციელდა ასევე პროექტი ,,იკვებე ჯანსაღად და იქნები ჯანმრთელი" . მოსწავლეებმა მოამზადეს პრეზენტაცია ჯანსაღ და არაჯანსაღ საკვებ პროდუქტებზე და წარუდგინეს სასკოლო თემს.
- X კლასში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სავალდებულო პროექტის ფარგლებში განხორციელდა 2 პროექტი: ,,კულტურული მემკვიდრეობის კვლევა და პოპულარიზაცია" და სამეწარმეო კუთხით ,,სახელოვნებო პროფესიების გაცნობა". პირველი პროექტის ფარგლებში მოეწყო ექსკურსია გელათი- ბაგრატი - მოწამეთა. მეორე პროექტის ფარგლებში მოსწავლეები ეწვივნენ ზესტაფონის თეატრსა და ქორეოგრაფიულ სტუდიას, სადაც ჩაწერეს ინტერვიუები მსახიობებთან და ქორეოგრაფებთან. მოეწყო ექსკურსია ქუთაისის კოლეჯში ,,იბერია" და შპს კვების ობიექტში ,,გურმანი".
- სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით დაგეგმილი აქტივობები. 2017 წლიდან სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული ქუთაისის კოლეჯ იბერიასთან. 2017-2018 წლებში ,,WSD PROGRAM - მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების" პროგრამის ფარგლებში სულ განხორციელდა ,,კულინარიის ხელოვნებისა" და ,,კერვის" 48 საათიანი ხუთი კურსი. პროექტისათვის გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ავეჯით (არამხოლოდ მერხებით), რომელიც ქმნის უაღრესად სასიამოვნო გარემოს მოსწავლეებისათვის. პროექტის ფარგლებში მოსწავლეები სწავლობენ კეთებით, ანუ თეორია გამყარებულია პრაქტიკით, ახდენენ კალორიული და ჯანმრთელი საკვების დეგუსტაციას, კულინარიის მიმართულებით, ქმნიან მატერიალურ პროდუქტს კერვის მიმართულებით და რაც ყველაზე მთავრია დამსხვრეულია სტერეოტიპები და ორივე მიმართულებაზე გოგონებისა და ვაჟების დაინტერესება თანაბარია.

- მოსწავლეებისთვის სისტემატურად ეწყობა ვიზიტები/ექსკურსიები ფეროშენადნობთა ქარხანაში მეტალურგის პროფესიის გასაცნობად. ზესტაფონის ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯი კონსტრუქტ2-ში სადაც მოსწავლეები ეცნობიან სპეციალობებს:კოპიუტერული ქსელი და სისტემები, ელექტროობა, შრომითი უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, აზომვითი-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება. ასევე მათ მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამების ხანგრძლივობასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით.
- სასწავლო კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას არაფორმალურ სასსწავლო პროცესში. ამ მიზნით სკოლაში განხორციელდა შემდეგი პროექტები: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'', „იავნანამ რა ჰქმნა'', „ჯანსაღი ცხოვრების წესი დაჰიგიენა''„საგზაო ნიშნები", აღნიშნულმა პროექტმა მოსწავლეებს განუვითარა გლობალურ ფუნქციური უნარები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: I -კორპუსი-250 II- კორპუსი-150	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა -სრული
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა -სრული
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა- სრული

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი ...		.....
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი 1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	*სკოლამ წარმოადგინოს მისია, ხედვა, ღირებულებები (30.11.2023)*
ინდიკატორი 1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;	*სკოლამ წარმოადგინოს მისია, ხედვა, ღირებულებები (30.11.2023)*
ინდიკატორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	*სკოლამ 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა წარმოადგინოს 30.11.2023*
ინდიკატორი 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	*სკოლამ წარმოადგინოს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც თავსებადი იქნება სამოქმედო გეგმასთან (30.11.2023)*
ინდიკატორი 1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.*	*სკოლამ წარმოადგინოს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც თავსებადი იქნება სამოქმედო გეგმასთან (30.11.2023)*
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	1. *სკოლამ წარმოადგინოს პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები(15.11.2023)* 2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის #785 ბრძანების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ა ქვეპუნქტის შესაბამისად, სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული წარმოადგინოს *15.11.202*
ინდიკატორი 3.1.2.3 ...	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	*1. სკოლამ პერსონალის პირადი საქმეები სრულყოფილი სახით წარმოადგინოს 15.06.2024* *2. სკოლამ 2020 წლის შემდეგ დასაქმებულ სკოლის პერსონალის პირა საქმეებში არ ინახება სამი სახის ცნობა: ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმების, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ წარმოადგინოს 15.06.2024* *3. სკოლამ 2020 წლამდე დასაქმებულთა პირად საქმეებში ნასამართლეობის ცნობაწარმოადგინოს 15.06.2024* *4. სკოლამ აიყვანოს კვალიფიკაციური ექიმი 15.06.2024*
ინდიკატორი 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	*სკოლამ შექმნას საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი , დასაქმებულ ხელშეკრულებები და პირადი საქმეები მოიყვანოს წესრიგში 20.12. 2023*

ინდიკატორი 3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;	*სკოლამ წარმოადგინოს მისიის დოკუმენტი 30.11.2023*
ინდიკატორი 3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	*სკოლამ წარმოადგინოს მისიის დოკუმენტი 30.11.2023*
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*1. სკოლამ წარმოადგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის ორგანოსთან 30.09.2024* *2. სკოლამ წარმოადგინოს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა 30.09.2024* *3. სკოლას წარმოადგინოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. 30.09.2024* *4. სკოლამ უზრუნველყოს მეორე კორპუსში ექიმის/ექთნის აყვანა 30.09.2024* *5. სკოლამ უზურნველყოს მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია30.09.2024*
ინდიკატორი 3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	*1. სკოლამ წარმოადგინოს პერსონალის პირი საქმეები 30.11.2023* *2. სკოლამ შეიმუშავოს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი 30.11.2023*
ინდიკატორი 3.4.1.6	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;	*სკოლამ შეიმუშაოს ინფორმაციის დაცვის მექანიზმები 30.11.2023*
ინდიკატორი 3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრქუტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის*	*სკოლამ უზრუნველყოს სკოლის მეორე კორპუსის რეაბილიტაც მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა 30.09.2024*

	ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	*სკოლამ უზრუნველყოს მეორე კორპუსში ადაპტირებული გადემოს შექმნა 30.09.2024*
ინდიკატორი 3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	*სკოლამ უზრუნველყოს საქმისწარმოება სკოლის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის 41/ნ01-23ნ ბრძნების შესაბამისად 30.11.2023*
ინდიკატორი 3.6.3.1	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით*	*სკოლამ უზრუნველყოს ვებ გვერდის სრულყოფა 30.12.2023*
ინდიკატორი ***3.6.3.4***	*სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას*	*სკოლამ უზრუნველყოს ვებ გვერდის სრულყოფა 30.12.2023*
ინდიკატორი ***3.6.3.5***	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის*	*სკოლამ უზრუნველყოს ვებ გვერდის სრულყოფა 30.12.2023*

	შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;	სკოლას მიეცა რჩევა დოკუმენტში გაწერილი პერსონალის შერჩევის პროცედურები შესაბამისობაში მოიყვანოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2019 წლის 20 აგვისტოს #174 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესთან. ასევე დოკუმენტში გაითვალისწინოს სხვა პერსონალის სკოლაში მიღების წესი. გაწეროს თანამშრომელთა სოციალიზაციის კონკრეტული ნაბიჯები და პასუხისმგებელი პირები.
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, შეიმუშაოს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.*

ინდიკატორი 3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;	სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები.
ინდიკატორი 3.5.1.5	*სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).*	*სკოლას მიერცა რჩევა უზრუნველყოს კურიკულუმში გაწერილი რესურსების კატალოგის შექმნა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორი აღჭურვილობის გამრავალფეროვნება.*
ინდიკატორი 3.6.1.1.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;	სკოლას მიეცა რჩევა დაამონტაჟოს WI FI მოწყობილობა
ინდიკატორი 3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მატერიალური და არამატერიალურ რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი, მათ შორ კომპიუტერული ლაბორატორიის
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.1.5	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;	*სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მოსწავლეთა ინიციატივებ მხარდამჭერი მექანიზმი*

ინდიკატორი 4.2.3.1	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთ მუშაობის მექანიზმი;	*სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი, რომელშ გაწერილი იქნება სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებ სერვისების მიწოდების რეგულაცია*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**ქართული ენა და ლიტერატურა** 1. ცნებები უნდა გაიწეროს ყველა თემატურ ერთეულის გასწვრივ, 2. კარგად გამოიკვეთოს თემის დასახელება, მიეთითოს, რომელი სახელმძღვანელოთი ასწავლიან, 3. მე-5 კლასის კურიკულუმი გაკეთდეს ინ ფორმატში, რომელშიცაა მე-6 კლასისა. **სპორტი:** დაამატოს თემები: "გასართობი თამაშებ ვალათბურთის/ფეხბურთის/ფრენბურთის ელემენტებით" და "მავნე ჩვევების პრევენცია"
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	**ტექნოლოგიების საგნის ექსპერტის რჩევები,** *1.კურიკულუმის ჩარჩოში ზეოგიერთ კლას გამორჩენილია სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები; 2.მე-5 კლასის კურკულუმ ჩარჩოში წამოდგენილი საკითხი "ციკლების გამოყენება ვიზუალური პროგრამირებ გარემოში" (სამიზე ცნება ალგორითმთან) არ შეესაბამება აღნიშნულ კლასს*
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	**ტექნოლოგიები:** *შეიმუშავოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. ისე, როგორც ეს სანიმუშო რუბრიკაში აქვთ წარმოდგენილი.* **ქართული ენა და ლიტერატურა:** *განმავითარებელი რუბრიკები კომპლექსურ დავალებებისთვის დაეფუძნოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და თვითონ დავალებ კრიტერიუმებს, ხოლო განმსაზღვრელისა (მე-5 კლასის მეორე სემესტრი, მეექვსე კლასი სტანდარტის ზოგად ინდიკატორებსა და დავალების კრიტერუმებს, ანუ ისე, როგორც სანიმუშო რუბრიკებში აქვთ წარმოდგენილი.* **ფიზიკური აღზრდა:** *შეიმუშავონ წერილობითი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებ*

სტანდარტი 2	*საგნობრივი კურიკულუმი საბაზო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	***<u>რჩევები სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტისგან:</u>*** კერძოდ, 1.ცნებები უნდა გაიწეროს ყველა თემატური ერთეულის გასწვრივ, 2. კარგად გამოიკვეთოს თემის დასახელება, 3. მიეთითოს, რომელი სახელმძღვანელოთი ასწავლიან, 4. სადაც კომპლექსური დავალება მუშავდება, ქვესაკითხებს არ ვწერთ კურიკულუმში.
ინდიკატორი 2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	**რჩევა მათემატიკის საგნობრივი ექსპერტისგან**: *შექმენით და გამოიყენეთ დიფერენცირებისათვის სხვადასხვა ინსტრუმენტები, რომლებიც დაგეხმარებათ მოსწავლეთა დიფერენცირებაში; მაგალითად: სადიაგნოსტიკო ტესტები ყველა თემისთვის, მეტი კონკრეტიკისთვის- ასევე, საკითხებზე მორგებული ტესტები, გამოიყენეთ math.ge-ს საიტი, სადაც გაზიარებულია დიაგნოსტირებისთვის ტესტები და სხვადასხვა რესურსები.*
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	*რჩევა სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტისგან, რომ განმავითარებელი რუბრიკე კომპლექსური დავალებებისთვის დაეფუძნოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა (თვითონ დავალების კრიტერიუმებს, ხოლო განმსაზღვრელისა -სტანდარტის ზოგ ინდიკატორებსა და დავალების კრიტერუმებს, ანუ ისე, როგორც ეს სანიმუ რუბრიკებში აქვთ წარმოდგენილი.* **რჩევა ფიზიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტისგან,** *შეიმუშავონ წერილობი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდის საგანში.*

ინდიკატორი 2.2.1.3	სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;	**რჩევა:** ***საბუნებისმეტყველო საგნებში*** *ექსპერიმენტებისა და ცდების განხორციელებებისას, აუცილებელია მოსწავლეებმა აწარმოონ დაკვირვების დღიურები, ცდის ოქმები, რათა თავად შეძლონ დასახული პრობლემის ირგვლივ გადასაჭრელი გზების ძიება, რაც ეტაპობრივად დაეხმარება მათ სწორად და მიზნობრივად დაგეგმონ საკუთარი სწავლების პროცესი.*
სტანდარტი 2	*საგნობრივი კურიკულუმი საშუალო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	***რჩევა მშობლიური ენის საგნობრივი ექსპერტისგან:*** *მე-10 კლასში დაემატოს კომპლექსური დავალებები.* მოამზადოს მე-11 კლასის კურიკულუმიც.
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	**სახელმწიფო ენის კათედრას მიეცა რჩევა** *, განმავითარებელი რუბრიკები კომპლექსურ დავალებებისთვის დაეფუძნოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და თვითონ დავალებ კრიტერიუმებს, ხოლო განმსაზღვრელისა -სტანდარტის ზოგად ინდიკატორებსა (დავალების კრიტერუმებს, ანუ ისე, როგორც ეს სანიმუშო რუბრიკებში აქვ წარმოდგენილი.* ***რჩევა ფიზიკური აღზრდის საგნის ექსპერტისგან.*** *შეიმუშავონ წერილობით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდის საგანში.*
ინდიკატორი 2.2.1.3	სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;	***საბუნებისმეტყველო საგნებში*** *ექსპერიმენტებისა და ცდების განხორციელებებისას, აუცილებელია მოსწავლეებმა აწარმოონ დაკვირვების დღიურები, ცდის ოქმები, რათა*

		თავად შეძლონ დასახული პრობლემის ირგვლივ გადასაჭრელი გზების ძიება, რაც ეტაპობრივად დაეხმარება მათ სწორად და მიზნობრივად დაგეგმონ საკუთარი სწავლების პროცესი.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. **სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლამ პროექტის სახით წარმოადგინა მისია, ხოლო სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლა აპირებს შეიმუშაოს და დაამტკიცოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. დირექტორს ბრძანება N2-77-ის საფუძველზე დამტკიცებული ჰყავს ჯგუფი, რომელსაც დავალებული აქვს სკოლის მისიისა და ხედვის დოკუმენტზე მუშაობა. სკოლამ შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა, რომ მისია შემუშავებული ექნება 30. 11.2023 **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
2. ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შორაპნის საჯარო სკოლის მისიის პროექტში სკოლა განსაზღვრავს თავის როლს სასკოლო საზოგადოებისთვის, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. სკოლის ახლადრეაბილიტირებული თანამედროვე სტანდარტებით გარემონტებული შენობა, მოტივირებული, თანამშრომლობით პრინციპებზე ორიენტირებული სასკოლო საზოგადოება ქმნის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ გარემოს, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების პირებსაც, ადაპტირებული გარემოს მეშვეობით, თავისუფლად, ყოველგვარი შეფერხების გარეშე შეუძლიათ გადაადგილება, განათლების მიღება და საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზება. თვითშეფასების დოკუმენტზე და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირების შედეგებზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა

მოსწავლის საჭიროებებზეა ორიენტირებული და მზად არის აღზარდოს თანამედროვე, ტოლერანტი მოქალაქე, რომელიც დაკავებული იქნება ჯანსაღი ცხოვრების წესით. სკოლას აქვს სრული მხარდაჭერა, როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური რესურსების კუთხით, რაც მას გაუადვილებს სამომავლოდ შემუშავებული ნებისმიერი ხედვისა, თუ მისიის შესრულებას. ამ ეტაპისთვის , რადგან სკოლა მისიისა და ხედვის შემუშავების პროცესშია და სკოლა მის დამტკიცებას შესაბამისობის გეგმის თანახმად სრულყოფილი სახით იქნება წარმოდგენილის მიმდინარე წლის 30 ნოემბრამდე **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**.

3. სკოლის დირექტორის ბრძანება N2-77-ის საფუძველზე ჩამოყალიბებული მისიაზე და ხედვაზე მომუშავე ჯგუფი დაკომპლექტემულია სკოლის პერსონალითა და მშობლებით. სკოლის პერსონალთან ინტერვიუმაც ცხადყო, რომ ისინი გეგმავენ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შეიმუშაონ ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა მისია, ხედვა, ღირებულებულებები, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა. ვინაიდან სკოლას აქვს მზაობა ამ პროცესშებში სასკოლო საზოგადოების ჩართვისა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის საზოგადოებასთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათი უმეტესი ნაწილი ჩართული იყო 2022-2023 წწ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში და სწორედ მათ მიერ იქნა შემუშავებული მისია. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მისია მოძველებულია, საჭიროებს გადახედვას და თავიდან შემუშავებას, რისთვისაც გამოთქვამდნენ სრულ მზაობას. რასაც ადასტურებს სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება სკოლის მომუშავე ჯგუფის წევრთა სიის დამტკიცების თაობაზე. სკოლის საზოგადოების მხრიდან მისიის შემუშავების პროცესებში ჩართულობა და მათი მხრიდან აღნიშნულ საკითხებში ინფორმირებულობა გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულები სრულად გაზიარებული იქნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის მისიის საჯაროდ ხელმისაწვდომობის დამადასტურებელი ვიზუალური ფაქტები სკოლამ ვერ წარმოადგინა. თუმცა სკოლის დირექციის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ მისიის, ხედვის, ღირებულებების და სკოლაში მოქმედი სხვა დოკუმენტების გაცნობა სასკოლო საზოგადოებისთვის ხდება მშობელთა კრებებზე, სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეხვედრებზე. ასევე სკოლის დირექტორის განმარტებით ახლო მომავალში დაამონტაჟებენ საინფორმაციო

დაფას, რომელზეც განათავსებენ სკოლის მისიას, ხედვას ღირებულებებს და დოკუმენტაციას, რასაც აუცილებლად უნდა იცნობდეს სასკოლო საზოგადოება, ასევე ახლო მომავალში სკოლა იმუშავებს ვებ გვერდის შექმნაზე და სრულად ასახავს ყველა საჭირო ინფორმაციას. ვინაიდან სკოლას აქვს მზაობა ახალი სასწავლო წლიდან უზრუნველყოს მისიის საჯაროდ ხელმისაწვდომობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის დასახელება 2011 წლამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 (2005 წლის 15 სექტემბერი) ბრძანების შესაბამისად იყო სსიპ სოფელ შორაპნის საჯარო სკოლა, ხოლო 2011 წლიდან საქართველოს თავდაცვის სამინტროს შუამდგომლობით სკოლას მიენიჭა სკოლის კურსდამთავრებულის 2008 წლის აგვისტოს ომის გმირის ზაზა ფერაძის სახელი და მისი ზუსტი დასახელებაა სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის მისია და ხედვა პროექტის სახით
2. 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა
3. დირექტორის ბრძანება N2-77
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტი, რომელიც მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებს, პროცესის ქვეპროცესებს, ძირითად მიდგომებს, გაზიარების მექანიზმებს, საუშაო ჯგუფის შემადგენლობას და მის ფორმირებას, დაგეგმვის მეთოდოლოგიას, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებას, გაზიარების პროცესის აღწერას, დამტკიცების პროცესის აღწერას, მონიტორინგსა და შეფასებას. დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით გეგმავს ახალი სასწავლო წლისთვის სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებით შეიმუშაოს მისია, ხედვა ღირებულებები, სტრატეტგიული და სამოქმედო აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ აქვს 6 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტი მატერიალური სახით სკოლამ ვერ წარმოადგინა, თუმცა დირექტორის მოადგილემ ისარგებლა ელექტრონული ვერსიით და გაგვაცნო ის ძირითადი მიმართულებები, რასაც 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებდა. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი გეგმავს ახალი სასწავლო წლისთვის სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობით შეიმუშაოს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა. სკოლა შესაბამისობის გეგმის თანახმად 7 წლიან სტრატეგიულ გეგმას დამტკიცებული სახით წარმოადგენს 30.11.2023 წელს. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
3. სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლას 7 წლიანი სტრატეგიული გეგმისა და მის საფუძველზე შექმინილი ერთ წლიანის სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცებული სახით წარმოდგენა შესაბამისობის გეგმის მიხედვით გაწერილი აქვს 30.11.2023 წელს. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი მუშაობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის პროექტი არ მოიცავს შესრულების გაზომვადი ინდიკატორებსა და საჭირო რესურსებს. სკოლის პერსონალთან ინტერვიუმ გვაჩვენა, რომ სამოქმედო გეგმის სრულყოფილი სახით შედგენისას სკოლა გაითვალისწინებს სტრატეგიული მიზნებსა და ამოცანებს და ასევე გაითვალისწინებს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს. სკოლას დოკუმენტები დამტკიცებული სახით ექნება 30.11.2023 წელს. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

   დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ერთწლიანი 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა
2. 2023-2024 სასწალო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი
3. თვითშეფასების დოკუმენტი

4. მისიის, ხედვის, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის პროექტი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის, ხედვის, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის პროექტი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით სკოლა მონიტროინგს გემავს წელიწადში ორჯერ იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია არაგეგმიური მონიტორინგის ჩატარება. მონიტორინგი მოიცავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენას, შეგროვებული მონაცემების გაანალიზებასა და შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრას. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანაც. სკოლის პერსონალთან ინტერვიუმაც დაგვარწმუნა, რომ თანამშრომელთა მხრიდან წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზის საფუძველზე იგეგმაება მომდევნო სასწავლო წელს გასათვალისწინებელი აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას სტრატეგიული დაგეგმვის მეთოლოგიის პროექტში განსაზღვრული აქვს სტარტეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ამავე დოკუმენტის მიხედვით სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებულ პირებთან მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით. მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. სკოლა შეფასებას ახორციელებს სასწავლო წლის ბოლოს შემაჯამებელ პედსაბჭოზე კათედრების ხელმძღვანელების, სკოლის დირექტორის, მოადგილის, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ანგარიშების საფუძველზე ხდება სკოლის მუშაობის შედეგების ანალიზი, აღნიშნული ანგარიშების საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება ცვლილებების შეტანის საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად დაედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შედგენას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული მეთოდოლოგიის პროექტი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საჯაროობას სკოლის ვებ გვერდზე გამოქვეყნებით. ასევე გასაჯაროების მექანიზმებად წარმოდგენილია შედეგების ელექტრონული ფოსტით, დოკუმენტბრუნვის ეკლექტრონული ბრუნვის სისტემით, სოციალური მედიითა და საჯარო ღონისძიებებზე ორმხრივი კომუნიკაციით. დოკუმნეტი მოიცავს ასევე ინფორმაციის გაზიარების სქემას. სკოლა გამოთქვამს მზაობას, რომ სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები იქნება საჯარო, ყველა ზემოთ აღნიშნული მექანიზმის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მეთოდოლოგიით ასევე განსაზღვრულია, რომ სტატეგიულის გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად დაედება შემდგომი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. პასუხისმეგებელ ჯგუფთან ინტერვიუს დროს გაიმოიკვეთა, რომ სკოლა SWOT ანალიზზე და გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით გამოკვეთს სტარტეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების პრიორიტეტულ საკითხებს, რომელსაც გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
2. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი
3. მისიის, ხედვის, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის პროექტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას საშტატო განრიგით, რომელიც შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ჰყავს თანამშრომლები, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესში და თანამდებობრივ ინსტრუქციებში. ასევე სკოლაში მოქმედებს სტრუქტურული ერთეულები, რომელთა საქმიანობა განსაზღვრულია, როგორც კანონით

,,ზოგადი განათლების შესახებ“, სკოლის წესდებით. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით წარმოდგენილი აქვს სკოლის სტურუქტურა. ასევე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დირექტორის #2-78 ბრძანებით დამტკიცებული თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელშიც გაწერილია დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, მატერიალურ ტექნიკური უზურუნველყოფის კოორდინატორის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, დამლაგებლის, დარაჯისა და დამრიგებლების ფუნქცია-მოვალეობები. სტურქტურული ერთეულები, რომ თავის ფუნქციებს სრულყოფილად ასრულებენ სკოლის მიერ გადმოგზავნილი მათი შეხვედრის ოქმები და ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუ ცხადყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გამიჯნული და გადანაწილებული. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება სკოლის დირექტორის ბრძანებითა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს. სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებული ფუნქციები, რომელიც შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს ემსახურება. სკოლამ ვიზიტის დროს დაგვახვედრა სკოლის დირექტორის #2-81 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი რომელიც, მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასა და ხარისხის უზრუნველყოფის წესს. სკოლის დირექტორის 2020 წლის #2-123 ბრძანებით შექმნილია ხარისხის ჯგუფი, რომლის ნამდვილად ფუნქციონირებაში გვარწმუნებს ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუ და სკოლის მიერ წარმოდგენილი ოქმები და ანგარიშები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი

2. თანამდებობრივი ინსტრუქციები
3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
4. სკოლის წესდება
5. ბრძანება ხარისხის ჯგუფის შექმნის შესახებ
6. სამეურვეო საბჭოს ოქმი
7. მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესი ეხმარება სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პროცესების სრულყოფილად წარმართვაში. თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესს. ვაკანსიის შემთხვევაში სკოლას ახალი კადრი აჰყავს კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისია მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით. ასევე სკოლას აქვს წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვისა და

განვითარების დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების მიზნებს, სტრატეგიას, ამოცანებს, პროფესიული განვითარების როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, პროფესიული განვითარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებს, პროფესიული განვითარების ორგანიზებას, ადამიანური რესურსების მართვას და ამ მხრივ დირექტორისა და დირექტორის მოადგილის ფუნქციებს, პროფესიული განვითარების სქემას, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებასა, მოტივაციას. რაც შეეხება პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, სკოლამ მხოლოდ სოციალური პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა ხელშეკრულების წარმოდგენა შეძლო, დირექციის განმარტებით დანარჩენი პერონალის ხელშეკრულებები და სკოლის დოკუმენტაცია ინახება სხვადასხვა მისამართზე. სკოლა შესაბამისობის გეგმის თანახმად სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტკის დოკუმენტსა და სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების წარმოადგენას უზურუნველყოფს 15.11.2023 წელს. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუმ ცხადყო, რომ სკოლაში მართვის პროცესები ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და სწავლა-სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პროფესიული განვითარების მექანიზმების მიზნებს, სტრატეგიას, ამოცანებს. ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები მიმართულია განვითარებისთვის. მასწავლებლებს ყოველწლიურად აქვთ შესაძლებლობა გაიარონ პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ტრენინგები, ხოლო მიღებული ცოდნა გაუზიარონ კოლეგებს და გადაიტანონ პრაქტიკაში. ასევე დანარჩენი პერსონალის შემთხვევაში სკოლის დირექცია ზრუნავს სიახლეებისა და გამოწვევების კვალდაკვალ მოახდინოს მათი გადამზადება. სკოლის მიერ შექმნილი ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ძირითადი და დამხმარე პროცესების შეფასებასა და შესაბამისი უკუკავშირის გაცემას. სკოლის პერსონალს სრულად გაზიარებული აქვს პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში მასწავლებლის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურის ჩატარება და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოვლენა ხდება ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების დაცვით. პერონალის მოზიდვის მიზნით სკოლა

ახორციელებს კანდიდატების შერჩევას საქართველოს კანონმდებლობისა და სკოლაში მოქმედი შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად. სკოლას 2021 წელს ქონდა გამოცხადებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის ვაკანსია. სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი და იქმნება საკონკურსო კომისია. (მასწავლებლის შემთხვევაში ჯერ შიდა კონკურსი, შემდეგ ღია). შიდა კონკურსის შემთხვევაში საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www. pedagogi.ge / teachersjobs.ge. ვაკანსია მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი, ასევე მოიცავს კონკურსის ეტაპებს. აპლიკანტს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს კონკურსის შედეგები. კონკურსი ძირითადად მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა, რაც გამორიცხავს არაკვალიფიციური კადრის მოხვედრას თანამდებობაზე და მეორე ეტაპზე ხდება აპლიკანტის პიროვნული და პროფესიული უნარების გამოკვლევა გასაუბრების გზით. კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს შერჩეული კანდიდატის თაობაზე.

ხოლო რაც შეეხება სკოლის ექიმის აყვანას, სამედიცინო კაბინეტში ვიზიტის დროს გავეცანით სკოლის ექიმის დოკუმენტაციას და აღმოჩნდა, რომ სკოლის ექიმად დასაქმებულია სტომატოლოგის კვალიფიკაციის მქონე პირი. სკოლას 2019 წელს სკოლის ექიმის ვაკანსია განთავსებული ქონდა www. hr.gov.ge-ზე და www. pedagogi.ge / teachersjobs.ge, იმ დროინდელი მოქმედი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 15 ივნისის #565 ბრძანების შესაბამისად სკოლას შეეძლო სკოლის ექიმის თანამდებობაზე დაესაქმებინა შემდეგი კვალიფიკაციის მქონე მსურველები: ,,საოჯახო მედიცინა“ ,,პედიატრია“ და ,,თერაპევტი“. სკოლის დირექციასთან აღნიშნული საკითხის განხილვის დროს მათ ვერ წარმოადგინეს ვერანაირი დოკუმენტი, რომელიც დაგვარწმუნებდა იმაში რომ სკოლას დაესაქმებინა სხვა პროფილის ექიმი.

ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა კონკურის წესით აყვანილი მასწავლებლის პირადი საქმის შემოწმება, რადგან სკოლამ ვერ წარმოადგინა, შესაბამისად ვერ დავადგინეთ მისი კვალიფიკაცია რამდენად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ

ნორმებს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2020 წლამდე დასაქმებულთა პირად საქმეებში არ ინახება ნასამართლეობის ცნობა, ხოლო 2020 წლიდან დასაქმებულის პირად საქმეში არ ინახება შემდეგი დოკუმენტაცია: ავტობიოგრაფია, ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმებისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლას შესაბამისობის გეგმის თანახმად პერსონალის პირადი საქმეები სრულყოფილი სახით წარმოდგენას, დასაქმებული პერსონალის კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების წარმოდგენას, კვალიფიციური ექიმის დასაქმებას უზრუნველყოფს 15.06.2024 წლამდე. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კარიერული წინსვლისა და განვითარების სქემას, აღნიშნული შეგვიძლია დავასკვნათ eschool-ის ბაზაში ასახული მათი სტატუსების შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა დასაქმებული მასწავლებლების პირადი საქმეების ნაწილი, ასევე ვერ წარმოადგინა მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალისთვის დატანილი აქვს მათ ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში, თუმცა დოკუმენტი არ მოიცავს სკოლის ექიმისა და ადმინისტრატორის ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლა შესაბამისობის გეგმის თანამხმად ხელშეკრულებებისა და პირადი საქმეების მოწესრიგებას, სკოლისმ პერსონალის საკვალიფიკაციო დოკუმენტის სრულყოფილი სახით წარმოდგენას უზურუნველყოფს მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

5. ვიზიტის დროს სკოლის პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუმ დაგვანახა, რომ სკოლის მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. სკოლაში შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები, მათ ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, მიიღონ გადაწყვეტილებები და აიღონ პასუხისმგებლობები.

თვალსაჩინოა, რომ სკოლა მუშაობს გუნდური პრინციპით, რა დროსაც თანამშრომლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებული სამუშაო პრაქტიკის დანერგვა და განზოგადება. სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის გუნდი ადგენს მასწავლებელთა საჭიროებებს, ერთად გეგმავენ საჭიროებაზე დაფუძნებულ განვითარების გზებს.

სკოლა უზრუნველყოფს ყველა თანამშრომელის საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. კათედრის წევრები ფორმალურ თუ არაფორმალურ შეხვედრებზე განიხილავენ და მსჯელობენ ერთობლივად სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.

სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება ეფუძნება გუნდურობას და თანამშრომლობას. რაც დადასტურებულია სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და თანამშრომელთა ინტერვიუს შედეგად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლისთვის თითოეული მასწავლების წარმატება მნიშვნელოვანი და ღირებულია. ძალინ დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმატებული გამოცდილების გაზიარებას და სასკოლო საზოგადოების მუდმივ ინფორმირებულობას ამ კუთხით. სკოლის მასწავლებლები აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებში. სკოლის მასწავლებლების წარმატებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სისტემატიურად ხდება სკოლის ფეიბუქ გვერდის საშუალებით, აღინიშნება პედაგოგიურ საბჭოზე თუ საინფორმაციო შეხვედრაზე. სკოლას მასწავლებელთა წახალისების სახეები გაწერილი აქვს სკოლის შინაგანაწესში და პერსონალის მართვის დოკუმენტში, რომლის მიხედვითაც პერსონალის მოტივირება და წახალისება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია პერსონალის მოტივაციის ამაღლებისაკენ და პროფესიულ საქმიანობაში მათი დაინტერესებულობის გაზრდისაკენ, თუმცა სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს გამოყენებული მატერიალური წახალისების ფორმა, რადგან ფინანსური რესურსი არ ყოფნის. შემოიფარგლება

სიგელებითა და დიპლომების გაცემით.

სკოლა ჩართულია USAID-ის სამოქალქო განათლების პროექტში. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი საინტერესო აქტივობა თუ პროექტი. სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა ინდოეთში, მან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან წარმოდგენილ კოლეგებს თავისი გამოცდილება გაუზიარა. იგი ასევე აქტურად აცნობს სიახლეებს შორაპნის სკოლის მასწავლებლებს. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია სკოლის ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობა, რომლის ფარგლებშიც პედაგოგები იზიარებენ საკუთარი კოლეგის წარმატებულ გამოცდილებას თანამედროვე მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით. ასვე აღნიშნულს Etaloni.ge- ზე გამოქვეყნებული სტატიებიც მოწმობს.

გამოცდილების გაზიარების მიზნით ხდება ასევე გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებაც, იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო თუ საკლასო პროექტები. აღნიშნული დასტურდება დოკუმენტაციით, ინტერვიუს შედეგად და სკოლის ფეისბუქ გვერდ**ით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. ღია კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის და წესის დამტკიცების ბრძანებები და ოქმები (ვიზიტის დროს მოხდა შესწავლა)
3. პერსონალის ფუნქციების აღმწერი დოკუმნტი
4. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
5. სკოლის ფეისბუქ გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით სკოლა განსაზღვრავს პერსონალის განვითარებისა და პერსონალის შეფასების მექანიზმებს, კერძოდ: პროფესული განვითარების საფუძველი შეიძლება იყოს თანამშრომელთა იდვიდუალური პროფესიული საჭიროებები და ინიციატივები და ასევე ხარისხის მართვის ჯუფის წევრების ურთიერთდასწრების შედეგად გამოკვეთილი რეკომენდაციები. პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მექანიზმად სკოლა იყენებს ასევე მასწავლებეთა რეფლექსიებსა და თვითშეფასებებს.

ხარისხის ჯგუფი მასწავლებელს გაკვეთილზე დასწრების შემდეგ აძლევს რჩევებს პროფესიული განვითარებისა და გამოსასწორებელი მხარეების თაობაზე თუ როგორ უნდა განახორციელოს შესაბამისი ინტერვენციები. ხარისხის ჯგუფის მიერ მასწავლებელს რეკომენდაციები ეძლევა ზეპირი ფორმით. თუმცა ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა წერილობითი უკუკავშირის მიცემის თაობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას არ აქვს წარმოდგენილი გამოვლენილ საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმა მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებამ წარმოაჩინა, რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს პერსონალის განვითარების ხელშეწყობას გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე. კერძოდ ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის შეფასება ხორციელდება მათ მიერ შესრულებული დავალებების ხარისხის შემოწმებით. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებელთა თვითშეფასების, ზეპირი უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება და ა. შ. რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ სხვა პერსონალს, დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მათზე სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი. ასევე კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლა ადგენს, რა მიმართულებით სჭირდება პერსონალს განვითარება-გადამზადება. სკოლაში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები ჩართულნი არიან როგორც სავალდებულო ტრენინგებში, ასევე სხვადასხვა პროექტების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში, სემინარებსა და ქოუჩინგში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას, პედაგოგები ურთიერთგამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით ივითარებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. სკოლა ყველანაირ პირობას უქმნის მასწავლებელს, ინფორმაციის მიწოდებიდან ტექნიკური მხარის მხარდაჭერამდე, მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებსა თუ ეროვნულ, რეგიონულ თუ სხვა სახის კონფერენციებში. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი

მასწავლებელს გაკვეთილზე დაკვირვების შემდეგ აძლევს ზეპირ რეკომენდაციას პროფესიული განვითარების მიზნით კონკრეტული მიმართულებების ტრენინგების გავლის შესახებ, რომელსაც ატარებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. სქემით გათვალისწინებული სავალდებულო აქტივობების ფარგლებში მასწავლებლები გადიან ყოველწლიურად ტრენინგს და არჩევანის გაკეთების დროს ითვალისწინებენ ჯგუფის რეკომენდაციას. სკოლაში არის მამოტივირებელი გარემო კარიერული ზრდისთვის. თანამშრომლობითი, უსაფრთხო გარემო, სასკოლო კულტურა, ურთიერთგაზიარება და გუნდური მუშაობის პრინციპი ყველა მასწავლებელს აძლევს საშუალებას პროფესიული და კარიერული ზრდისთვის. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2 მასწავლებელი სკოლას წარდგენილი ყავდა განსაკუთრებული წესით სტატუსის მინიჭებაზე, 3 მასწავლებელი კი პორტფოლიოს დაცვის შედეგად ელოდება სტატუსის ამაღლებას. ინტერვიუს ფარგლებში ზემოთ აღნიშნულ აქტივობებში მონაწილე პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში გახორციელებული ღონისძიებები ხელს უწყობდა მათ კარიერულ ზრდას. მაგალითად: სკოლაში წახალისებულია ე.წ. „კრიტიკული მეგობრის“ ფორმატი, უზრუნველყოფილია საგაკვეთილო დაკვირვებების ციკლი, განმავითარებელი უკუკავშირის მიცემით. მასწავლებლები პერიოდულად აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე და მათი საჭიროებების შესაბამისად ახორციელებენ ინტერვენციებს სასწავლო პროცესში. მასწავლებლები რომლებმაც წარადგინეს პორტფოლიო მასწავლებლის სტატუსის ასამაღლებლად, აღნიშნავდნენ, რომ წარმოდგენილი აქტივობები ძალიან ეხმარებოდათ მათ ამ პროცესისკენ მიმავალ გზაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს კარგი გამოცდილება ახალი თანამშრომლის სასკოლო გარემოსა თუ სასკოლო საზოგადოებასთან ადაპტაციასთან დაკავშირებით. ახალ კადრებს აცნობენ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის კულტურასთან შეგუების პროცესს. აცნობენ შინაგანაწესს, სკოლაში მოქმედ კანონმდებლობას, ახდენენ მის წარდგენას პედაგოგიურ საბჭოზე, აცნობებ კათედრის წევრებს, ახდენენ მის წარდგენას მოსწავლეებთან, აკვირდებიან მის პრაქტიკულ საქმიანობას და აწვდიან შესაბამის რჩევებს. სკოლის

პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სკოლაში შექმნილია კოლეგიალური, კეთილგანწყობილი, ხელშემწყობი გარემო თანამშრომლების სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით. სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალის შერჩევისა და სოციალიზაციის პროცედურები დნართით. სკოლას ეს დოკუმენტი ახალი შექმნილი აქვს და არ მოიცავს კონკრეტულ ნაბიჯებს თუ როგორ შეიძლება ხელი შეეწყოს დასაქმებულის სოციალისზაციას. ასევე სკოლას ამ დოკუმენტში გაწერილი აქვს პერსონალის შერჩევის პროცედურები, რომელიც შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2019 წლის 20 აგვისტოს #174 ბრძანბით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესთან. სკოლა ასევე დოკუმენტში უნდა ითვალისწინებდეს სხვა პერსონალის სკოლაში მიღების წესსაც.

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს სკოლის პერსონალის თვითრეალიზაციას და მათი იდეების რეალიზებას. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია სკოლის მიერ. ინიციატივებს ძირითადად ზეპირსიტყვიერად აფიქსირებენ. სკოლაში წახალისებულია წარმატებული მასწავლებელი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მოსწავლეთა აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის. სკოლა ახალისებს მასწავლებელთა ინიციატივებს, ადგილობრივ თუ სარაიონო ღონისძიებებში მათ მონაწილეობას, შიდა საკლასო თუ სასკოლო პროექტების დაგეგმვა - განხორციელებაში უცხადებს თანადგომას. სკოლის სოციალურ გვერდზე და etaloni.ge-ზე აქტივობების გაზიარებით წაახალისებულია მასწავლებელთა მოტივაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ტრენინგების შემდეგ გაცემული ცნობები და სერთიფიკატები
2. საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის სერტიფიკატები
3. პერსონალის შერჩევისა სოციალიზაციის დოკუმენეტი
4. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმნტი
5. ფოტომასალა
6. სკოლის ფეისბუქის გვერდი
7. Etaloni.ge-ზე გამოქვეყნებული სტატიები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას, თემთან თანამშრომლობას და ა.შ. ამ მიმართულებების მართვა არის ერთი მთლიანი პროცესი, რომელიც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით და სხვა დოკუმენტაციით. ეფუძნება პროცედურულ მიდგომებს, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მიმართულების ხარისხობრივი მაჩვენებელი. სწორედ ამის საფუძველზე ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისი ღონისძიებები. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია. აღნიშნული დასტურდება ასევე ოქმებითა და ანგარიშებით. შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლას მისია დოკუმენტის სახით ექნება 30.11.2023 წლამდე. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურები სკოლაში არსებული მმართველობითი სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული გეგმით ხორციელდება. სკოლაში მიმდინარე პროცესები კანონმდებლობის შესაბამისია. დოკუმენტაციის შესწავლით და გასაუბრებებით დადასტურდა, რომ სკოლა გააზრებულად

მართავს მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს, კერძოდ, სკოლა ახდენს კურიკულუმის შემუშავებას, სწორად იმართება ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსები, დაცულია უსაფრთხოება და წესრიგი, სკოლა ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სკოლა პროცესებს მართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და სკოლის შიდა დოკუმენტებით, რომელშიც შედის სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, თანამდებობრივი ინსტრუქციები და სხვა. შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლას მისია დოკუმენტის სახით ექნება 30.11.2023 წლამდე. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში ტარდება სკოლის კანცელარიაში, რომლის შემდეგაც მიიღება შესაბამისი ზომები. შემოსული საჩივრით დისციპლინური გადაცდომის ნიშნების საკითხს იხილავს სკოლის დირექტორი ან/და დისციპლინური კომიტეტი უფლება.მოსილების ფარგლებში, თუმცა სკოლაში დისციპლინურ გადაცდომას ადგილი არ ქონია. სკოლის დირექტორის და დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილება განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით. ცალკეული პროცედურული საკითხები დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით. თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სურვილის შემთხვევისთვის, ასევე, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის სკოლაში მუშაობს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. დანერგილია სემესტრული ნიშნის გასაჩივრების მექანიზმი და პროცედურა. ეს პროცედურა აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოგვიდგინა ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის შესახებ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მათი უფლებებისა და ასევე უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების პროცედურებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. შინაგანაწესით დადგენილი რეაგირების ფორმები და პროცედურები გამჭვირვალობისა და სამართლიანობის დაცვის მიზნით ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას ასევე აქვს ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის, მშბლის, პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელიც უპირველესად

ხორციელდება შინაგანაწესზე დაყრდნობითა და კოლეგიალურ ორგანოებში წარმომადგენელთა ყოლითა და მათი ინტერესების დაცვით. სკოლის პერსონალი და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო თუ საკლასო პროექტებში. ხშირია სხვადასხვა არხით მიღებული მშობელთა დადებითი უკუკავშირები. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალისა და მშობელთა უფლებები ძირითადად დისციპლინური წარმოების წესთან მიმართებაში. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში გასაჩივრების ფაქტი არ დაფიქსირებულა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. სკოლის სოციალური გვერდი
3. მოსწავლის, მშობილისა და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი
4. სკოლის შინაგანაწესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მშობელთა აქტიური ჩართულობა დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოებაზე, მასწავლებლებზე, მშობლებსა და

მოსწავლეებზე. სკოლა ხელს უწყობს მშობლის ჩართულობას როგორც მართვის, ასევე, უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზებაში. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და ტექნიკურ პერსონალთან, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის გამარტივებასა და საჭირო ინფორმაციის დროულად ურთიერთგაცვლასა და მიწოდებას.

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეები, როდესაც მშობელს ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულით ამომწურავი ინფორმაცია (აკადემიური მოსწრება, დისციპლინა და სხვა). გარდა კონკრეტულად განსაზღვრული დღეებისა, მშობელი შეზღუდული არ არის ნებისმიერ დროს შეხვდეს დირექციას, მასწავლებელს, კლასის დამრიგებელს მათთან შეთანხმებით. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომლითაც განსაზღვრულია სკოლისა მშობლის ურთიერთობის საკითხები. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის სოციალურ ვებ გვერდს. სკოლა ახლადრეაბილიტირებულია და დასამონტაჟებელია საინფორმაციო დაფა, ასევე შესაქმნელი აქვს სკოლის ვებ გვერდი. სკოლა მზადაა აღნიშნული მექანიზმების გამოყენებითაც მოახდინოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

.2. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის მართვის პროცესში გამოიხატება მის წევრობაში სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში. ეს ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. სასკოლო საზოგადოებას აქვს პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობები. სკოლის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების სამივე საფეხური. აქვე უნდა ითქვას, რომ სამეურვეო საბჭოს არჩეული წევრები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის მართვის პროცესში. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და ტექნიკურ პერსონალთან, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის გამარტივებასა და საჭირო ინფორმაციის დროულად ურთიერთგაცვლასა და მიწოდებას. სკოლის პედაგოგიური საბჭო დირექტორის მონაწილეობით და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას. სამეურვეო საბჭო თავის მხრივ ითანხმებს პედაგოგიური საბჭოს მიერ წარდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტს, ამტკიცებს შინაგანაწესს და

მასში შესატან ცვილებებს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე მეტყველებს ასევე ის ფაქტი, რომ სკოლის დირექტორის მიერ მისია, ხედვა, ღირებულებებზე, სტატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გემაზე მომუშავე ჯგუფი დაკომპლექტებულია მშბელთა მონაწილეობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. მშობლის დებულება
2. დირექტორის ბრძნებები
3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. პედაგოგური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ფუნქციონირებს ორ სხვადასხვა მისამართზე მდგარ შენობებში. რომელთაგან ერთი ახლად რებილიტირებულია და მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. ხოლო მეორე შენობას რაც შეეხება, სრულად სარეაბლიტაციოა დაზიანებულია ჭერი, იატაკი კედლები და ძნელია დაასკვნა, რომ სკოლის ეს შენობა სიცოცხლისთვის უსაფრთხო გარემოს ქმნის. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეო სათვალთვალო სისტემით. მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნავს 2 მანდატური. ერთი ერთ შენობაში, მეორე მეორე შენობაში. სკოლის ერთი შენობის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რასაც ვერ ვიტყვით მეორე შენობაზე. სკოლაში დასაქმებულია ექიმი, ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი და რესურსოთახი. ექიმს შედგენილი აქვს მორიგეობა და ორივე შენობაში ემსახურება სკოლის პერსონალსა და მოსწავლეებს, თუმცა მეორე შენობაში ექიმის კაბნეტში არ არის შესაბამისი აღჭურვილობა და მედიკამენტები. ძირითადი შენობის სამედიცინო კაბინეტში არ არის შირმა, სხვა მხრივ სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა და მედიკამენტები სრულყოფლია. ექიმი ახდენს მოსწავლეთათვის პირველადი დახმარების გაწევას, საჭიროების შემთხვევაში კი სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახებას. მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დამრიგებელი გაცდენის მიზეზის დასადგენად მობილურით ან მესენჯერით უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. სკოლას აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან აქვს გაგზავნილი წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე. სკოლას აქვს სახანძრო უსაფრთხოებისთვის საჭირო ინვენტარი, თუმცა არ აქვს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების გამართულობის თაობაზე. ასევე სკოლას ამ დროისთვის არ აქვს მოპოვებული შესაბამისი უფელბამოსილი ორგანოს მიერ დასკვნა შენობის მდგრადობის თაობაზე, მაგრამ სკოლამ ვიზიტის დროს მომზადა წერილი ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს სახელზე შენობის მდგრადობის დოკუმენტის მოპოვების მიზნით. ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად

სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მთავარი ფუნქცია დირექტორისთვის ამ მიმართულებით რეკომენდაციების მიცემაა. სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. შესაბამისობის გეგმის თანახმად სახანძრო უსაფრთხოება დაცვას, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმისა და შენობის მდგრადობის დოკუმენტის წარმოდგენას სკოლა უზურუნველყოფს 30.09.2024 წლამდე. სკოლის მეორე შენობის რეაბილიტაციასა და სკოლის ექიმი/სკოლის ექთანის აყვანას შეძლებს 30.092024 წლამდე. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ საფუძველზე სკოლაშ შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სასკოლო საზოგადოებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა ხდება მასწავლებელთა მორიგეობით, ექიმის მომსახურებით. შენობასა და ეზოს პერიმეტრზე უცხო პირთა შემოსვლა-გადაადგილება კონტროლდება. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ დირექტორთან შეთანხმების საფუძველზე. სკოლის ტერიტორიაზე შემომსვლელს აკონტროლებს და აღრიცხავს უფლებამოსილი პირი. სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ სასკოლო დერეფნებსა და სკოლის ეზოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. საკლასო ოთახებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი. სკოლაში შემომსვლელი ყველა უცხო პირი ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაში ჩართულია მანდატური, რომელიც წესრიგის ნორმების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში იქცევა მოქმედი რეგულაციის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში დამტკიცებული არ არის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმების შემცველი კონკრეტული დოკუმენტი, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადსხვა დოკუმენტაციაში შნაგანაწესში, სკოლის წესდებაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში იკვეთება რომ სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის

რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. მათი მხრიდან ხშირად იმართება პრევენციული ღონისძიებები ბულინგის საწინააღმდეგოდ. კარგი იქნება სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია, როგორც სკოლის შიდა ასევე გარე პერიმეტრზე.

მოწესრიგებულია სველი წერტილები. დამლაგებელი უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სველი წერტილების, დერეფნების, კიბის საფეხურებისა და სახელურების სველი წესით დამუშავებას. სკოლის ექიმის მიერ სისტემატიურად ხდება არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემოწმება. ასევე ხორციელდება ა.ი.პ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალიური ცენტრის მიერ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში გაიცემა მათი მხრიდან რეკომედაციები. სკოლას ჰყავს საშტატო განრიგით გათვალისწინებული 5 დამლაგებელი, აქედან 3 დამლაგებელი ემსახურება ძირითად შენობას, ხოლო 2 მეორე შენობას. სოციალური პროგრამის ფარგლებში დასაქმებულია 1 დამლაგებელი და 1 მეეზოვე, 1 კარისკაცი. შესაბამისად, საკმარისი ადამიანური რესურსია სანიტარული პირობების უზრუნველსაყოფად. სკოლიდან ნარჩენების გატანას ახდენენ დამლაგებლები, სოფელში მდგარ ნაგვის ურნებში. სკოლას აქვს წარმოდგენილი სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი დასუფთავების პროცედურები. სკოლას აქვს ინფრასტრუქტურაზე მორგებული დასუფთავების გრაფიკი. სკოლაში ვიზიტის დროსაც დადასტურდა რომ სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლეების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ხოლო რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულთა პირად საქმეებს მათი სრულყოფილად შესწავლა ვერ მოხერხდა. სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ 12 პერსონალის პირადი საქმე და განმარტა, რომ სკოლის რეაბილიტაციის პერიოდში მათი განთავსება მოხდა სხვადსხვა მისამართზე და ამ დრომდე ვერ უზრუნველყვეს სრულად შეგროვება. ასევე, პერსონალური მონაცემები შენახულია ციფრულადაც, რომლის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმის მწარმოებელი. ასევე

მომხმარებლის პაროლის დაცვაზეც პასუხისმგებელია საქმის მწარმოებელი და სხვა პირს გარდა საქმის მწარმოებლისა ხელი არ მიუწვდება მომხარებელსა და პაროლზე. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. მშობლისთვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით კონკრეტული მშობლისთვის განკუთვნილ სივრცეში, სადაც მხოლოდ თავისი შვილის/შვილების ქულებს და განმავითარებელ კომენტარებს ნახულობს. სკოლას დოკუმენტის სახით არ აქვს შემუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი. სკოლა შესაბამისობის გეგმის თანახმად თანამშრომელთა პირადი საქმეებისა და შემუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების წარმოდგენას შეძლებს 30.11.2023 წლამდე. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებული.**

6. სკოლა მონაცემებს ამუშავებს, აგროვებს მხოლოდ კანონიერი საფუძვლით. სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია დაცულია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლა ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებას შეძლებს 30.11.2023 წლამდე. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა მუდმივად აკვირდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებას, პერიოდულად შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოთა სხდომებზე ხდება მათი შეფასება, რაც უპირობოდ გამოიყენება მისი გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული დადასტურდა დირექციასთან და სკოლის პერსონალთან გასაუბრებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე
2. ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში გაგზავნილი წერილი
3. სანიტარული ნორმების დაცვის დებულება

4. ა.ი.პ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალიური ცენტრის დასკვნა
5. სკოლის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები
6. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი
7. საქმისწამროების წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა განთავსებულია 2 მისამართზე: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპანში I კორპუსი ფარნავაზის ქ. N21, II კორპუსი ბატონიშვილის ქ. N4.

I კორპუსი 3 სართულიანი ახლად რეაბილიტირებული შენობაა. აღნიშნულ მისამართზე არსებული ინფრასტრუქტურა სახელმწიფოსაგან მიღებულია უზურფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური წყალმომარაგებით, გათბობით, ელექტრომომარაგებითა და საკანალიზაციო სისტემით. სკოლის ტერიტორიაზე დგას დამხმარე შენობა, სადაც განთავსებულია გათბობის ქვაბის შენობა. საერთო ფართია 4167კვ. მეტრია. სკოლაში არის ინტერნეტი, თუმცა WIFI დაფარვა არ აქვს. სკოლაში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც სრულად აღსაჭურვია საჭირო რესურსებით. დირექციის განმარტებით აღჭურვილობას ელოდებიან ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან. სკოლაში არის აგრეთვე კომპიუტერების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სასადილო, რესურსოთახი, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი გასახდელებით. კომპიუტერების ლაბორატორია აღჭურვილია 32 კომპიუტერით; 3 პროექტორით ; 6 ცალი პრინტერით. ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. ყოველწლიურად მიმდინარეობს ინვენტარიზაცია.

II კორპუსი I კორპუსიდან 600 მეტრში მდებარეობს. სწავლა მიმდინარეობს 1909 წელს აშენებულ 2 სართულიან შენობაში, რომელიც სრულად სარეაბილიტაციოა და საფრთხის შემცველია. დაზიანებულია იატაკი, ჭერი, კედლები, მოწესრიგებულია სტანდარტების შესაბამისად მხოლოდ სველი წერტილები და ექიმის კაბინეტი, მაგრამ არ აქვთ

ექიმის კაბინეტისთვის საჭირო ინვენტარი. აქაც განთავსებულია ბიბლიოთეკა მოძველებული ლიტერატურით, კომპიუტერების ლაბორატორია, ფიზიკის კაბინეტი ძველი რესურსებით, სამასწავლებლო, მანდატურის ოთახი, ახალი სპორტული მოედანი. სკოლა ზამთარში თბება შეშის ღუმელით. წყალმომარაგება უზურუნველყოფილია სკოლის შენობაში არსებული წყლის რეზერვუარით. შენობასთან ახლოს არის დამხმარე შენობა, რომელიც არ გამოიყენება. ვინაიდან II კორპუსი საფრთხის შემცველია **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სასადილო, სველი წერტილები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა თუმცა წიგნადი ფონდი მწირია და მოძველებული. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველას - მოსწავლესაც და მასწავლებელსაც. მისი მუშაობა ხორციელდება დებულების მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკის მუშაობას წარმართავს ბიბლიოთეკარი. სკოლას აქვს ბიბლიოთეკაში არსებული სახელმძღვანელოების კატალოგი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლას აქვს ექიმის კაბინეტი, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. მნიშვნელოვანი რესურსია სკოლისთვის რესურსოთახი, რომლითაც ამ ეტაპზე სარგებლობს 14 სსსმ მოსწავლე(ორივე შენობაში). სპეცმასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ რესურს ოთახის აღჭურვა-განახლება ხდება პერიოდულად მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე. საჭიროებების შესახებ სკოლის ადმინისტრაციას ინფორმაციას აწვდის სპეციალური მასწავლებელი, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციას საგნის მასწავლებლებისაგან იღებს. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ აქვთ აღჭურვილობა. მეორე კორპუსის ფიკის ლაბორატორიაში არის მცირე რაოდენობის მოძველებული რესურსები. ლაბორატორია საჭიროებს სრულად აღჭურვას. კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია არა მხოლოდ კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილზე, არამედ ნებისმიერი მასწავლებელისთვის, რომელიც დაგეგმავს გაკვეთილს ისე, რომ საჭიროებას მოითხოვს კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენება. ლაბორატორია წარმოადგენს საზიარო სივრცეს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, რომელსაც გამოიყენებენ, როგორც გაკვეთილების დასაგეგმად, ასევე დავალებების

მომზადებისთვის. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ კომპიუტერული რესურსი, როგორც საგაკვეთილო, ისე - არასაგაკვეთილო პერიოდში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ასევე, ყველასათვის ხელმისაწვდომია სპორტული მოედანი(ორივე კორპუსში), სპორტული დარბაზი პირველ კორპუსში. სკოალს ასევე აქვს სააქტო დარბაზი ღონისძიებეის მოსაწყობად. გარდა საგაკვეთილო პერიოდისა, მოსწავლეებს საშუალება აქვთ არასაგაკვეთილო პერიოდშიც გამოიყენონ სპორტული სივრცე, სკოლის ეზოში არსებული სპორტული მოედანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა (პირველი კორპუსი) უზრუნველყოფილია ყველა იმ საჭირო ინფრასტრუქტურული ერთეულით, რაც ხელს უწყობს სწავლის ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლაში არის ინდივიდუალური მერხები, სსსმ მოსწავლეებისთვის რესურს ოთახში განთავსებულია საჭირო ინვენტარი, გამოკრულია რესურსოთახით სარგებლობის განრიგი თითოეული მოსწავლისათვის სკოლის შენობას აქვს პანდუსი, სკოლის შენობაში სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია ლიფტით. შესაბამისად ყველა საერთო სარგებლობის სივრცე ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის. სკოლის შენობაშია განთავსებული სველი წერტილები, მათ შორის - ადაპტირებულიც. მაგრამ მეორე კორპუსში არ არის არანაირი პირობა დაცული, რითიც ხელი შეეწყობა ინკლუზიური გარემოს შექმნას. შესაბამისობის გეგმის თანახმად მე-2 შენობაში ინკლუზიური გარემოს შექმნა უზრუნველყოფილი იქნება 30.09.2024 წლამდე. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ამისათვის სკოლაში არსებობს სამკითხველო, გარე სპორტული მოედანი(ორივე კორპუსის შემთხვევაში), სარეკრიაციო სივრცე, სააქტო დარბაზი,ბიბლიოთეკა. სკოლის ეზოში აღმართულია საქართველოს დროშა. სპორტული სივრცე გამოყენებულია სპორტული შეჯიბრებებისა და ჩემპიონატების ჩასატარებლად. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი პროექტებისა და ღონისძიებებისათვის ჩასატარებლად. პროექტებისა და აქტივობებისათვის ხშირად იყენებენ სკოლის ეზოს. სკოლაში ასევე ხელშეწყობილია პროფესიული სწავლება, კოლეჯ ,,იბერიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, ელექტრორესურსები, რუკები, პლაკატები მოსწავლისა და მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომია. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია ის რესურსები, რაც საგნის სწავლებისთვის წლის მანძილზე არის საჭირო. სკოლა ცდილობს შეიძინოს აღნიშნული რესურსები და უზრუნველყოს სწავლების მაღალ სტანდარტებზე განხორციელება. წლების მანძილზე სკოლაში დაგროვდა შეძენილი თუ შექმნილი (მასწავლებლების, მოსწავლეების) რესურსები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა და წარმატებით ხდება მათი მოხმარება. კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსების არსებობა დასტურდება დათვალიერებით. სკოლას მიეცა რჩევა ასევე უზრუნველყოს კურიკულუმში გაწერილი რესურსების კატალოგის შექმნა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არჭურვილობის გამრავალფეროვნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. 2022 წლის სკოლის ფინანსური ანგარიშსწორების დოკუმენტი
3. ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება
4. ბიბლიოთეკის კატალოგი(ვიზუალური დათვალიერებით)
5. საგნობრივი კურიკულუმი
6. პროექტები
7. ფოტომასალა

8. საკადასტრო გემა
9. შენობა-ნაგებობის სქემა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მუდმივი ინტერნეტით. სკოლაში არსებული IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ადმინისტრაციული მართვა და საქმისწარმოება მთლიანად ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ხდება. სისტემატურად იყენებენ მასწავლებლები სასწავლო პროცესში ციფრულ ტექნოლოგიებს, ინტერნეტ რესურსებს. ინტერნეტითა და ლეპტოპებით უზრუნველყოფილია საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა რესურს ოთახი,

ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი, საკლასო ოთახები, მაგრამ სკოლაში არ არის დამონტაჟებული WI FI , შესაბამისად მასწავლებლებს ინტერნერნეტთან წვდომა გაკვეთილის მსველელობისას არ აქვს, თუ გაკვეთილი კომპიუტერუ;ლ ლაბორატორიაშ არ ჩაატარა. ინფორმატიკის მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა რომ გაკვეთილის სრულყოფილად წარმართვისათვის მეტი კოპიუტერია საჭირო მრავალრიცხოვანი კლასის შემთხვევაში. დირექციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სხვა ინვენტართან ერთად სკოლა კომპიუტერულ ტექნიკასაც ელოდება ინფრასტრუქტურის სააგეაგენტოდან. ყოველივე ზემოთ აღნიშნული დასტურდება ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებით. სკოლას მიეცა რჩევა დაამონტაჟოს WI FI მოწყობილობა, რათა გაიზარდოს ინტერნეტთან წვდომა საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ინტერნეტზე შეუზღუდავი და შეუფერხებელი წვდომა, რაც იძლევა საშუალებას IT ინფრასტრუქტურა იყოს ფუნქციონირებადი. დამონტაჟებულია WI FI მოწყობილიბები. ინტერნეტი და კომპიუტერული მოწყობილობები არის საერთო სარგებლობის სივრცეებში. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლეპტოპები, ინტერნეტი, პროექტორები, ქსეროქსის აპარატი, სტაბილურად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. მათ აქვთ შესაძლებლობა ადგილზე მოამზადონ პრეზენტაციები, მოიძიონ საჭირო ინფორმაციები, ამობეჭდონ საჭირო მასალა და ა.შ. სკოლის IT ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლებისა და სკოლის პერსონალისთვის <u>თუმცა</u> IT ტექნოლოგიების გამოყენება არ ხდება დადგენილი წესის შესაბამისად ამიტომ მნიშვენლოვანია რომ სკოლას ქონდეს მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიისა და იქ არსებული რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლას მიეცეს რჩევა აღნიშნული წესის შექმნათან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ფოტოები - კომპიუტერითა და ინტერნეტით უზრუნველყოფის

2. მიღება-ჩაბარების აქტები (წარმოადგინეს ვიზიტზე)
3. ვიზიალური დათვალიერება ვიზიტის ფარგლებში

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად. სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული ბრძანებების eflow-ში ატვირთვა, მაგრამ არ ხდება სარეგისტრაციო ჟურნალში გატარება. მოსწავლეთა პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ შეიცავს ყველა საჭირო დოკუმენტს, რასაც ვერ ვიტყვით პერსონალის პირად სააქმეებზე, რადგან სრულყოფილი სახით სკოლაშ არ არის განთვასებული. თანამშრომელთა ხელშეკრულებები ვერ შემოწმდა რადგან ადგილზე არ ქონდა სკოლას. შემოსული და გასული დოკუმენტების ელექტრონული აღრიცხვას, საქმისმწარმოებელი აწარმოებს eflow-ში, მაგრამ არ ხდება შემოსული დოკუმნტების გატარება შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟრნალში. სკოლაში შესული განცხადებები არ შეიცავს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრულ ყველა საჭირო რეკვიზიტს, ძირითადად განცხადებაში არ იკითხება მოქალაქის მისამართი. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები არ შეიცავს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნას, ,,ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს“. სტრუქტურული ერთეულები თავის შეხვედრების შესახებ გამოსცემენ ოქმებს.

სკოლამ ვიზიტზე დაგვახვედრა დამტკიცებულ საქმისწარმოების წესი, რომელის წარმოებაც სკოლას დარღვეული აქვს. სკოლა შესაბამისობის გეგმის თანახმად საქმისწარმოებას საქმისწარმოების წესისა და ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად უზრუნველყოფს 30.11.2023 წლამდე. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eFlow. სკოლის მართვისას აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის eFlow, eschool და ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge. ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა სამივე საშუალებასთან. Eflow, eschool და ელექტრონულ ფოსტაზე teachers.gov.ge საკუთარი გვერდები აქვთ თანამშრომლებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის გადამოწმებამ აჩვენა, რომ ბაზაში ასახულია სკოლის შესახებ ყველა სახის ინფორმაცია. შესაბამისად განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი შევსებულია. მათ შორის: სკოლის მონაცემები, მოსწავლეთა და მშობელთა მონაცემები, პერსონალის მონაცემები, საშტატო განრიგი, სკოლის ბიუჯეტი, სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, საგაკვეთილო განრიგი, კლასებისა და დამრიგებლების რაოდენობა, ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის შესახებ ინფორმაცია, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, და ა.შ. სკოლის პროფილი სრულყოფილია. სკოლის გვერდის სრულყოფაზე და სათანადოდ მართვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად სკოლა წარუდგენს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ პრეზიდენტს, პარლამენტს და აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში მყისიერად და ეფექტურად ხდება ანგარიშის წარდგენა. ანგარიშის მომზადებაში ჩართული არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. სკოლის eschool -ის გვერდი
2. სკოლის eflow -ს გვერდი
3. სკოლის ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge
4. სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები
5. საქმისწარმოების წესი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სკოლა იყენებს, სოციალურ ქსელს, სკოლის ფეისბუქგვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს, რათა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის ძირითადი საკითხები გაზიარებული იქნას სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის შემოსასვლელ ფოიეში განსათავსებელი აქვს საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა გააზიარებს საჭირო ინფორმაციას. დაფის დამონტაჟება დირექტორის განმარტებით მოხდება უახლოეს პერიოდში. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარებისა და განხილვის მიზნით. სკოლა შესაბამისობის გეგმის თანახმად ვებ გვერდის მოწესრიგეაბს 30.12.2023 წლამდე. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ სხვადასხვა არხებით გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. თუ ინფორმაცია ვრცელდება ოფიციალურად, მათ შორის სოციალური ქსელის სკოლის გვერდზე, ამ ინფორმაციის სანდოობასა და უტყუარობაზე პასუხს აგებს გვერდის ადმინისტრატორი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს ელექტრონული ფოსტას, სოციალური ქსელს, დახურულ ჯგუფებს, Teams-ს. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგემვა-განხორციელების მიზნით. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხშირია საზოგადოებაში არსებულ პრიორიტეტულ თემებზე დაგეგმილი აქტივობები, პროექტები. არაფორმალური სწავლების სხვადასხვა სახეები და ღონისძიებები. ამასთან, დამრიგებლის უფლება-მოვალეობებით და სკოლის მიერ შედგენილი მშობელთან ურთიერთობის დებულებით განსაზღვრულია მშობლებთან კომუნიკაციის ვალდებულება, რის მიხედვითაც ისინი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს ინდივიდუალურად. პერიოდულად კი ტარდება მშობელთა კრებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი. თუმცა, გამოთქვამს მზაობას სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შემქმნილ ვებგვერდზე განათავსოს ყველა საჭირო ინფორმაცია. სკოლა შესაბამისობის გეგმის თანახმად ვებ გვერდის მოწესრიგეაბს 30.12.2023 წლამდე. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლა გეგმავს ვებ-გვერდზე ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსებას, როგორც კი იგი გაიმართება და სკოლისთვის იქნება ხელმისაწვდომი. სკოლა შესაბამისობის გეგმის თანახმად ვებ გვერდის მოწესრიგეაბს 30.12.2023 წლამდე. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

   დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. სკოლის სოციალური გვერდი
3. ფეისბუკის ჯგუფები
4. მშობელთა უკუკავშირები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსურ მდგრადობა უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, სხვა დამატებითი შემოსავალი სკოლას არ აქვს. დაფინასების უმეტესი ნაწილი ხმარდება პერსონალის ხელფასით უზრუნველყოფას. დარჩენილი თანხა მიმართულია კომუნალური გადასახადებისა და იმ მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის, რაც სკოლას გამართულად ფუნქციონირებისათვის ჭირდება. სკოლის ფიანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას ფინანსების განკარგავს დადგენილი წესის შესაბამისად. ყოველი წლის ნოემბრის თვეში დირექტორი სასკოლო საზოგაროების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ადგენს მომავალი წლის შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმის გათვალისწინებით არაუგვიანეს 31 დეკემბრისა, დირექტორი წარუდგენს და სამეურვეო საბჭო ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. წლის მანძილზე შესყიდვების გეგმის განხორციელება და ბიუჯეტის განკარგვა ხდება შესყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე. წელიწადში ორჯერ სკოლის ბუღალტერი ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს. 10 დეკემბრამდე დირექტორი ფინანსურ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების გეგმა და ბიუჯეტი დამტკიცებულია წინა წელს, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სათანადო წესების დაცვით მასში ცვლილებების შეტანა, რაც უფრო მოქნილს ხდის სკოლის ფინანსურ მართვას. ბუღალტერმა წარმოგვიდგინა საპროგნოზო ბიუჯეტი, ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, შესყიდვების წლიური გეგმა. შესაბამისად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ბიუჯეტი
2. შესყიდვების გეგმა
3. ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, არის სკოლის შინაგანაწესი. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება კანონს ზოგადი განათლების შესახებ, ბავშვთა უფლებების დეკლარაციას და იმ ფუნდამენტურ საკანონმდებლო აქტებს, სადაც გაწერილია ბავშვის უფლებები და მოვალეობები. შინაგანაწესში დაწვრილებით არის გაწერილი როგორც მოსწავლის წახალისების, ისე დისციპლინური წარმოების წესი. კერძოდ, დოკუმენტის მე-16 და მე-17 მუხლებში გაწერილია მოსწავლის დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეები, დისციპლინური სახდელები შესაბამისობაშია დისციპლინურ გადაცდომებთან ისე, რომ არ ირღვევა მოსწავლის საუკეთესო ინტერესები, ყველა საკითხი შესაბამისობაში ზოგადი განათლების კანონთან და ბავშვის უფლებათა კოდექსთან. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, თუმცა ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს დისციპლინურ კომიტეტს არ განუხილავს არც ერთი მოსწავლის საკითხი, რაც დადებით ტენდენციაზე მიანიშნებს. სკოლას ასევე ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმოამადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას ასევე წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით, ასევე ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის შესახებ სკოლის დირექტორისთვის რეკომენდაციების გაცემა, სკოლას ჰყავს მანდატურები, რომლებიც ასევე ზრუნავენ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.

პირველი კორპუსში სკოლის მოსწავლეები სწავლობენ უსაფრთხო გარემოში, ხოლო მეორე კორპუსი საფრთხის შემცველია. შიდასასკოლო რეგულაციები, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, სკოლაში მოქმედი მასწავლებელთა მორიგეობა, კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა ადასტურებს, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. ვიზიტის დროს ინტერვიუებისას ნათელი გახდა, რომ მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად ემსახურება მთელი სასკოლო საზოგადოება, თვითგამოხატვის უზრუნველყოფა ხდება სასკოლო ცხოვრების ყველა დონეზე მოსწავლეთა ჩართულობით. სასწავლო წლის დასაწყისში ყოველწლიურად ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა.

საგნის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მათივე მონაწილეობით გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს.

სასკოლო გეგმაში ასევე გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცედურები, სსსმ მოსწავლისთვის ინდ. გეგმის შემუშავების რეგულაციები. სკოლაში სსსმ მოსწავლეებს ემსახურებათ სამი სპეც. მასწავლებელი. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ქმნის თითოეული სსსმ მოსწავლისთვის ინდ. ჯგუფებს, არსებობს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და ხორციელდება მისი სისტემატური მონიტორინგი. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლას გამოყოფილი აქვს რესუს-ოთახი პირველ კორპუსში, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსით. შემუშავებულია რესურ-ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობის განრიგი. სსსმ მოსწავლეები თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში ჩართულნი არიან ასევე არაფორმალური განათლების აქტივობებში: პროექტებში, გამოფენებსა და სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებში. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის, მშობლის პერსონალის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. დებულება სრულად მოიცავს მოსწავლის უფლებებსა და გასაჩივრების პროცედურებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ყველა რეგულაცია, რომელიც მოსწავლეთა მხარდაჭერაზეა ორიენტირებული, შექმნილია ზოგად განათლებაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებზე დაყრდნობით სკოლის საჭიროებების გათვალისწინებით, გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის შინაგანაწესი შექმნილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭო მიერ. სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა სასწავლო წლის დასაწყისში ეცნობა მშობლებს და მოსწავლეებს. სკოლის ტერიტორიაზე იგეგმება დოკუმენტების განთავსება ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი. სკოლისთვის ცნობილია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლების მართის საინფორმაციო სისტემასთან ერთად გეგმავს საჯარო სკოლებისთვის ვებ - გვერდის შექმნას. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია მზადაა ვებგვერდის შექმნისთანავე ყველა საჭირო ინფორმაცია ატვირთოს ვებგვერდზე ინსტრუქციების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში ვიზიტის დროს სკოლას დოკუმენტაციაში არ წარმოუდგენია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით კანონიერ წარმომადგენელლთან გაფორმებული ხელშეკრულება. თუმცა მშობელთა კრების ოქმებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლის მხრიდან ხდება მშობელთა კრების მოწვევა და შემდეგი საკითხების გაცნობა: მშობელთა კომიტეტის არჩევა და მათი საკონტაქტო მონაცემების დაზუსტება-განახლება, სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მშობელთათვის, მოსწავლეთა პირადი მონაცემების დაცვის შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მშობლებთან ხელშეკრულების გაფორმება. სასკოლო სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარების აქტების მშობლებისათვის გაცნობა, გადაცემა და ხელმოწერებით დადასტურება.ასევე პირველკლასელების შემთხვევაში ,,ბუკების" მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება. სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. მოსწავლსი, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმოიამდგენლის უფლებების დაცვის დოკუმნტი
3. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
4. მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი
5. ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა
6. ინდივიდუალური გეგმა
7. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა
8. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. ასევე სკოლამ ვიზიტის დროს დაგვახვედრა ბრძანებით დამტკიცებული ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, აღდგენის მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებისა და სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და ადაპტაციის წესის საფუძველზე ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. კერძოდ, მოსწავლის ჩარიცხვა სკოლაში ხდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების

საფუძველზე. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტით, რომელშიც გამოყოფილია სსსმ მოსწავლეთა კვოტაც. თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებისთ სკოლაშ გამოიკვეატ ერთი გარემოება პირველ კლასში შვილის ჩარიცხვის მსურველი მშობლის განცხადება დაიტოვა წინსწრებად, ხოლო მისი გატრება მოახდინა განათლესია დამეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადაში. თუ მოსწავლე გადმოდის მობილობით, ასეთ შემთხვევაში მშობლის განცხადების შემდეგ სკოლა ელექტრონული ფორმით მოთხოვნას უგზავნის გამშვებ სკოლას და იღებს მისგან დასტურს, რის საფუძველზეც ხდება მოსწავლის ჩარიცხვა. ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლეს კლასი და საფეხური დაძლეულად ეთვლება იმ შემთხვევაში, თუ მისი წლიური შეფასება არის 5 და მეტი ქულა. სკოლას გათავისებული აქვს, რომ სტატუსის შეჩერების საფუძველი არის მშობლის განცხადება, მოსწავლის მიერ სკოლის ზედიზედ 45 დღის განმავლობაში გაცდენა. ამ შემთხვევაში კლასის ხელძღვანელს ევალება აწარმოოს მოკვლევა მიზეზების შესახებ და ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორს. მოკვლევა ხორციელდება გაცდენიდან 10 და 20 დღის გასვლის შემდეგ. ყველაფერი ეს დადასტურდა ემისის ბაზის შემოწმების შედეგად. სკოლას აქვს მოსწავლის უცხოეთში წასვლის გამო სტატუსის შეჩერების შემთხვევები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში დაგეგმილი პროექტის, ღონისძიების თუ პროექტების შესახებ ინფორმაცია ყველა მოსწავლისთვის თანაბრადაა ხელმისაწვდომი და მოანაწილეობაც მათი სურვილის შესაბამისად ხდება. სკოლა ახორციელებს როგორც სპორტული ასევე შემეცნებითი აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ მოსწავლეების აკადემიური მაჩვენებლების ზრდას. მშობლებსა და მოსწავლეებს ასევე აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სკოლაში ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების კურსები ჭრა-კერვისა და კულინარიის მიმართულებით კოლეჯ ,,იბერიასთან“ გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. სკოლა ასევე წრის სახით სთავაზობს მოსწავლეებს ცეკვისა და მუსიკის წრეებს, მასში ჩართვა ფასიანია და გაწევრიანება ხდება მოსწავლისა და მშობლის თანხმობის საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა სოციალური გვერდისა და ,,ეტალონისთვის" მიწოდებული ინფორმაციის საშუალებით საჯაროდ ხელმისაწვდომს ხდის საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესებს. სკოლის სოციალური ქსელით პერსონალის ან მასწავლებლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების შესახებ არის თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული. ყველა აქტივობა არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული და სკოლის ფეისბუქ გვერდზე ფართოდ გაშუქებული, სადაც მოსწავლეთა სურათები მშობელთა თანხმობის საფუძველზეა გამოქვეყნებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მშობლის განცხადება სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით. (ვნახეთ ვიზიტზე)
2. სასკოლო სასწავლო გეგმა.
3. მშობელთა კრების ოქმი
4. ფოტოები სოციალურიქსელიდან.
5. მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და ადაპტაციის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და ადაპტაციის მექანიზმები. დოკუმენტში მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის კუთხით გაწერილია პირველკლასელთა, მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები, სკოლა გამოთქვამს მზაობას შემუშავებული მექანიზმების შესრულებასა და საჯაროობასთან დაკავშირებით. სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში საუბარია ფსიქოლოგის როლზეც ამ პროცესში, ვინაიდან სკოლას საშტატო განრიგით არ ყავს

გათვალისწინებული აღნიშნული შტატი, სკოლას მიეცა რჩევა ფუნქცია მოვალეობები გადანაწილდეს სკოლის სხვა პერსონალზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ახალი სასკოლო გარემო ყველა ბავშვისთვის განსაკუთრებულ ცხოვრებისეულ მოვლენას წარმოადგენს. სკოლა წარმატებით ართმევს თავს ამ მიმართულებით მუშაობას. სკოლის ორივე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი. ტრადიციადაა ქცეული საბავშვო ბაღების გამოსაშვებ ჯგუფებთან სამომავლო პირველი კლასის მასწავლებლის ვიზიტები როგორც მიმდინარე მეცადინეობებზე, ისე საზეიმო ღონისძიებებზე. აღსაზრდელები წინასწარ ეცნობიან მომავალ მასწავლებელს. პირველ დღესვე „ცოდნის ზეიმზე“ მოსწავლეებს ჩაიბარებს მასწავლებელი და აცნობს სასკოლო სივრცეს. საკლასო ოთახს, სპორტულ დარბაზს, ექიმის ოთახს, ბუფეტს, საპირფარეშოს და სხვა. სკოლაში ახალგადმოსულ მოსწავლეს კლასის დამრიგებელი წარუდგენს და გააცნობს თანაკლასელებს. სასწავლო წლის დასაწყისში ეწყობა საზეიმო დახვედრა და მუდმივად ხდება დამრიგებლის მხრიდან დაკვირვება მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესზე, რათა საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმოს დამატებითი აქტივობები. სკოლაში თბილი და მეგობრული ატმოსფეროა. სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეებს და მათ მშობლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას, სადამრიგებლო პროგრამას, რომელშიც მთელი წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობებია გაწერილი, სკოლის მხრიდან მაგალითის სახით წარმოდგენილია მშობელთა კრების ოქმი. თუ მოსწავლე სკოლაში მობილობით გადმოდის მასთან და მის მშობელთან ხდება კლასის ხელმძღვანელის ან დირექტორის შეხვედრა. მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო კულტურით გათვალისწინებულ ტრადიციებს, რომელიც სკოლაში აქვთ. მოსწავლეს დამრიგებელი აწვდის ინფორმაციას სასკოლო პროექტების შესახებ, რათა მან თავისი სურვილის მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება რომელში ჩაერთვება. თანაკლასელებთან ადაპტაციის პროცესი მიმდინარეობს დამრიგებლის მეთვალყურეობით და საჭიროების შემთხვევაში იგი ახდენს ინტერვენციას. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური საუბრები მოსწავლეებთან, სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრები ან საკლასო პროექტი, რომელშიც ჩართულნი იქნებიან მოსწავლეები და მორგებული იქნება საჭიროებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დირექციასთან, მასწავლებლებთან, კლასის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების პროცესში ცნობილი გახდა, რომ კლასის ხელმძღვანელები მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სისტემატიურად აცნობენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს სჭირდება მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, სკოლა/მასწავლებელი სთავაზობს მას დამატებით კონსულტაციებს, მეცადინეობებს. დამატებითი კონსულტაციებსა და მხარდაჭერას მოსწავლე იღებს როგორც პირისპირ წინასწარ გაწერილი გეგმა-გრაფიკით, ასევე ონლაინ ფორმით. ამისთვის სკოლა ძირითადად იყენებს teams-ის პლატფორმას, messenger ჯგუფებს ან სატელეფონო კომუნიკაციას. კლასის ხელმძღვანელების მიერ ინფორმირებულნი არიან მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, რომ უფლება აქვთ არ დაეთანხმონ საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვონ ქულის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნა. დირექტორთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ისინი მზად არიან დამატებით გაუწიონ მხარდაჭერა მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად თუმცა აღნიშნული აქტივობის შესაბამისი დოკუმენტი სკოლას არ გააჩნია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, ასევე მოსწავლეებთან კლასის კრებაზე ხდება მათთვის უფლებების და მოვალეობების გაცნობა. ამასთან იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. სკოლა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის ინფორმაციას მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ, სადაც მომსახურება უფასოა და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი დახმარება გადამისამართებაში. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე გასცემს ცნობას, დახასიათება/რეკომენდაციას, ნიშნების ფურცელს, რაც ნათლად გამოჩნდა eflow-ს გადამოწმებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. მოსწავლეთა ინიციატივით ეწყობა სასკოლო ექსკურსიები, ლაშქრობები სპორტული შეჯიბრებები. ხდება გამარჯვებული მოსწავლეების სიგელებით დაჯილდოება. ჩატარებული ღონისძიებები, ფოტო და ვიდეო მასალა თავსდება სკოლის ფეისბუქგვერდზე. მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლეთა დაინტერესება

განსაკუთრებით დიდია არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებთან მიმართებით, შესაბამისად სკოლა ყოველთვის ითვალისწინებს მოსწავლეთა დაინტერესებასა და ინიციატივებს ამ მიმართულებით. სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მოსწაველთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. ნებისმიერი პროექტის თუ აქტივობის განხორციელების შემდეგ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა თუ დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, რომელიც მოწოდებულია როგორც ზეპირად, ასევე სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებში და გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დატოვებულ კომენტარებში. ამ უკუკავშირების გათვალისწინებით სკოლა ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას, რათა მეტად შეუწყოს ხელი მათ, თავი იგრძნონ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პროექტი (საკლასო/სასკოლო)
2. სკოლის სოციალური გვერდი
3. მოსწალეთა თვითმმართველობის ოქმი
4. სადამრიგებლო პროგრამა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებშიანხორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს. კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიის თაობაზე. 2017 წლიდან სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული ქუთაისის კოლეჯ იბერიასთან. 2017-2018 წლებში ,,WSD PROGRAM - მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების“ პროგრამის ფარგლებში სულ განხორციელდა ,,კულინარიის ხელოვნებისა“ და ,,კერვის“ 48 საათიანი ხუთი კურსი. პროექტისათვის გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ავეჯით (არამხოლოდ მერხებით), რომელიც ქმნის უაღრესად სასიამოვნო გარემოს მოსწავლეებისათვის. პროექტის ფარგლებში მოსწავლეები სწავლობენ კეთებით, ანუ თეორია გამყარებულია პრაქტიკით, ახდენენ კალორიული და ჯანმრთელი საკვების დეგუსტაციას, კულინარიის მიმართულებით, ქმნიან მატერიალურ პროდუქტს კერვის მიმართულებით და რაც ყველაზე მთავრია დამსხვრეულია სტერეოტიპები და ორივე მიმართულებაზე გოგონებისა და ვაჟების დაინტერესება თანაბარია.

მოსწავლეებისთვის სისტემატურად ეწყობა ვიზიტები/ექსკურსიები ფეროშენადნობთა ქარხანაში მეტალურგის პროფესიის გასაცნობად. ზესტაფონის ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯი კონსტრუქტ2-ში სადაც მოსწავლეები ეცნობიან სპეციალობებს:კოპიუტერული ქსელი და სისტემები, ელექტროობა, შრომითი უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, აზომვითი-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება. ასევე მათ მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამების ხანგრძლივობასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. ასვე სკოლა

მიმართავს წარმატებული კურსდამთავრებულების მოწვევას და მათ შეხვედრას მოსწავლეებთან. ისინი თავისი პროფესიების შესახებ აცნობდნენ მოსწავლეებს ინფორმაციას.

არქეოლოგიის საკითხები მოსწავლეებმა გაიარეს მცხეთაში ვიზიტის დროს. ასვე სკოლაში განხორციელდა კადეტთა სამხედრო ლიცეუმის წარმომადგენლების ვიზიტი, მათ ინფორმაცია მიაწოდეს მოსწავლეებს ლიცეუმში სწავლის შესახებ.

სკოლის მოსწავლეები იმყოფებოდნენ ქუთაისის საქალაქო სასამართლოზე, პროცესზე რომელშიც ნაფიცი მსაჯულების მიერ ხდებოდა განაჩენის გამოტანა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. საბაზო საფეხურის დამლევის შემდეგ მოსწავლეებს და მათ მშობლებს აწვდის ინფორმაციას ამ მიმართულებით განათლების მიღების შესაძლებლობის შესახებ. სკოლის მიერ ჩატარებული აქტივობების შემდეგ ხშიარია მოსწავლეთა მხრიდან პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელების სურვილი. მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია საშუალო საფეხურის შემდეგ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის პერსონალთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა მზადაა მომავალში კიდევ უფრო გააფართოვოს ამ მხრივ მუშაობა. მოიძიოს სხვა პროფესიული სასწავლებლებიც, რათა მათთან გააფორმოს მემორანდუმი. მოსწავლეებიდან წამოსული უკუკავშირის შესაბამისად იზრუნოს მათთვის საინტერესო პროფესიების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებისა თაობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სოციალური გვერდი
2. კოლეჯ ,,იბერიასთან“ გაფორმებული მემორანდუმი
3. ფოტომასალა

4. ვიზუალური დათვალიერება

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ცალკეული დოკუმენტებით და ინეტრვიუებით დასტურდება, რომ სკოლა სპეციალური საჭიროებების გამოვლენისა და შემდომი პროცესების მართვის კუთხით იცავს კანონით გათვალისწინებულ ყველა ნორმას: მოსწავლესთან გამოხატული სირთულის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელი ატყობინებს დირექციას და ხდება მშობლის ინფორმირება. მშობლის თანხმობისა და განცხადების საფუძველზე ხდება მოსწავლის შეფასება და პირველადი მართვის გეგმის შემუშავება. თუ მიუხედავად პირველადი მართვის გეგმის განხორციელებისა, ვერ მიიღწევა სასურველი შედეგი, სკოლა იწვევს მულტიდისციპლინურ გუნდს და ხდება მოსწავლის შეფასება. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სტატუსის მინიჭების შემდეგ დგება ისგ ჯგუფი, რომელიც ახორციელებს შეხვედრას, რათა მოხდეს მოსწავლის აკადემიური და კოგნიტური უნარის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარის განსაზღვრა, დადგინდეს თუ რომელ საგანში/საგნებში სჭირდება მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ჰყავს შიდა მონიტორინგის ჯგუფი და ხდება ინკლუზიური განათლების ხარისხის შეფასება. სკოლაში სწავლობს 14 სსსმ მოსწავლე, eschool-ის ბაზის გადამოწმებით დადასტურდა, რომ დასკვნები ატვირთულია ემისის ბაზაში და განხორიცელებულია საჭირო

პროცედურა. ისგ ჯგუფების შეხვედრის შემდეგ საგნის მასწავლებლებმა განსაზღვრეს მოსწავლეთა აქტუალური დონე, შეადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მოსწავლეთა შესაძლებლობისა და უნარების გათვალისწინებით გაწერეს მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, მოიძიეს რესურსები, შეარჩიეს აქტივობები და მოახდინეს სასკოლო დავალებების ადაპტირება. შემუშავებული და თალსაჩინოდ გამოკრულია რესურს ოთახში მოსწავლესთან მუშაობის ცხრილი. ამ პროცესში ჩართულია მშობელი და გათვალისწინებულია მისი ინტერესები. გუნდურად ხდება მუშაობა მოსწავლის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, მეგობრებთან ურთიერთობაზე. სსსმ მოსწავლეები ასევე სარგებლობენ ზესტაფონში არსებული დღის ცენტრით და მათ სხვადასხვა დამხმარე სპეციალსიტები უწევენ მომსახურებას, როგორიცაა ენისა და მეტყველების თერაპევტი, ფსიქოლოგი.

სკოლას ცალკე დოკუმენტად არ აქვს გაწერილი სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, მაგრამ სკოლის სპეციალურ მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლა იყენებს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სხვადასხვა მექანიზმებს. სკოლას მიეცა რჩევა აღნიშნულ მექანიზმები გააერთიანოს ერთ დოკუმენტად, სადაც სრულყოფილად გაწერს სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების საკითხებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის კონფიდეციალურობას, მოსწავლის პორთფოლიო და პირადი საქმე ხელმისაწვდომია მხოლოდ ისგ ჯგუფის წევრებისთვის, რესურს ოთახში გაკრულ ცხრილზე მოსწავლის სახელი და გვარი წარმოდგენილია მხოლოდ ინიციალებით. სსსმ მოსწავლეების მოტივაციის ამაღლების მიზნით ისინი აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა აქტივობაში. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით განხორციელდა არაერთი აქტივობა მათ შორის 3 დეკემბერს აღინიშნა შშმ პირთა დღე, 21 მარტს დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით განხორციელდა პროექტი ,,მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს", 2 აპრილს აუტიზმის ცნობიერების ამაღლებისთვის მოსწავლეებს დაურიგდათ ბუკლეტები. მასწავლებლები ორიენტირებული არიან აღმოაჩინონ მოსწავლსი შესაძლებლობები და განუვითაროს ის უნარები, რომლითაც ის შეძლებს ცხოვრებაში ადაპტირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
2. ინდ. გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის ბრძანება
3. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა.
4. ინდ.გეგმები
5. სასკოლო სასწავლო გეგმა
6. ვიზიტის დროს დათვალიერება

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სთავაზობს დამატებით არასავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურებას ფასიანი წრეების სახით ცეკვასა და მუსიკაში. აღნიშნულის შესახებ კლასის ხელმძღვანელები მშობელთა კრებებზე, ასევე ინდივიდუალური შეხვედრების დროს აცნობენ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლაში წრეების არსებობას არ აქვს მუდმივი ხასიათი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ,,მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის" ფარგლებში სკოლას ემსახურება ტრანსპორტი 12 მიმართულებით, 7 სოფლიდან. ტრანსპორტით სარგებლობს 200 მოსწავლემდე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით. მშობელი განცხადებით ადასტურებს შვილის წრეში მიღებას. ასევე მას ნებისმიერ დროს შეუძლია გაიყვანოს შვილი წრიდან.

   სკოლაში გამოყოფილი პასუხისმგებლი პირი აწარმოებს ტრანსპორტით მომსახურების ტაბელს, სადაც გაწერილი კონკტეტული მარშუტები გზები მოსწავლეთა რაოდენობა და პასუხისმგებელი პირების ხელმოწერა. აღნიშნული ტაბელი იწარმოება ყოველდღიურად ყოველ სასწავლო დღეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმნტი სკოლას არ გააჩნია, თუმცა აღნიშნული რეგულირდება სატრანსპოტრო კომპანიასა და მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელი ხელშეკრულების პირობებშიც გაწერილია სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოების ნორმები და უსაფრთხო გადაადგილების ვალდებულება. კომპანია გამოთქვამს მზაობას მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილების თაობაზე მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

   ცეკვისა და მუსიკის წრის მომსახურებაც ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. ტრანსპორტით მომსახურების უწყისი
3. მშობელთა კრების ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება სრულად. დოკუმენტი იგება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნას დირექციის, პედაგოგთა, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები და პრიორიტეტები. დაგეგმვის ეტაპზე ტარდება კვლევები რის საფუძველზეც ხდება სასკოლო საზოგადოების წევრების პრიორიტეტების გამოკვეთა და შემდეგ კურიკულუმში ასახვა. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის გვერდი სოციალურ ქსელებში, ელექტრონული ფოსტა, ბეჭდვითი მასალები, სოციალური მედია და საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. წარმოდგენილი დოკუმენტის, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, მიხედვით კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და სკოლის ფილოსოფია, კურიკულუმის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულები, კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები. მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები. აქედან გამომდინარე, კურიკულუმის

შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, დირექტორის #2-87 ბრძანებით დამტკიცებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები, რაც დასტურდება დოკუმენტითაც - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მასწავლებლები ცდილობენ სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები, რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე, შეხედულებებზე და შესაძლებლობებზე. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად, აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. შორაპნის სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ისწავლება მეხუთე კლასიდან არჩევითი მეორე უცხო ენა: რუსული და ფრანგული. ამ ენების შერჩევა ხდება მშობლების ინტერესიდან გამომდინარე. მშობლები ითვალისწინებენ როგორც საგნობრივ მიღწევებს (მაღალ აკადემიურ მოსწრებას, კოფერენციებში და ოლიმპიადაში მიღწევებს ან ენის პრაქტიკულ გამოყენებას); ასევე მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე კლასებში აქვთ არჩევით საგნები, რომლებსაც მოსწავლეები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თვითონ ირჩევენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტევიურების ანალიზის საფუძველზე, ვასკვნით, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე, დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ჩამოაყალიბეს ურთიერთშეთანხმებით. ატარებენ როგორც ინტერგირებულ გაკვეთილებს, ასევე ახორციელებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო კვლევას - მაგალითად, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით დაგეგმილი კვლევა და დანერგილი ინტერვენციები, რომელიც წარმოდგენილია მტკიცებულების სახით. კათედრის შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლას აქვს მზაობა იმისა, რომ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები მეტი აქტიურობით

ჩაერთონ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ერთობლივი მუშაობის შედეგად გამოკვეთონ მოსწავლეთა ინტერესები და გამოწვევები სწავლა სწავლების პროცესში. დაგეგმონ და განახორციელონ კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს კურიკულუმზე მუშაობს სასკოლო საზოგადოება, ხოლო რაც შეეხება კურიკულუმის დამტკიცებას, ის თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი (გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა,სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობების/მასალები;
2. თვითშეფასების დოკუმენტი
3. „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
4. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

1. სკოლის დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩაარჩოები წარმოადგენენ მოსწავლზე ორიენტირებული პროცესის დაგეგვმისა და განვითარების გზას, ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეა იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი უნარები და შესაძლებლობები. მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასაკობრივი შესაძლებლობები. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს მოვლენები, ისაუბროს მსგავსება-განსხვავებებზე. პასუხი გასცეს საკვანძო შეკითხვაზე, აღნიშნული თემის ირგვლივ. კათედრების წევრებთან პირისპირ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აძლევენ მოსწავლეებს მაქსიმალურ თავისუფლებას, რომ თავად გააკეთონ არჩევანი, რომელი რესურსი შეარჩიონ. ზეოთაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი მიმართულია მოსწავლეზე ორიენტირებულად. სკოლას მიეცა *<u>რჩევები:</u>*

<u>ქართული ენა და ლიტერატურა 1. ცნებები უნდა გაიწეროს ყველა თემატური ერთეულის გასწვრივ, 2. კარგად გამოიკვეთოს თემის დასახელება, მიეთითოს, რომელი სახელმძღვანელოთი ასწავლიან, 3. მე-5 კლასის კურიკულუმი გაკეთდეს იმ ფორმატში, რომელშიცაა მე-6 კლასისა.</u>

<u>სპორტი: დაამატოს თემები: "გასართობი თამაშები კალათბურთის/ფეხბურთის/ფრენბურთის ელემენტებით" და "მავნე ჩვევების პრევენცია".</u>

სკოლა მზადაა ახალი სასწავლო წლისთვის დახვეწოს შედგენილი კურიკულუმები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწყებითი საფეხურის კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კოპმლექსური დავალების პროექტის მიხედვით, იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი),*დაწყებითი საფეხურის* კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). აღნიშნულის გარდა კათედრა მიმართავს პროექტულ მუშაობასაც (იხ. დაწყ. საფეხურის მასწავლებელთა მიერ განხორციელებული პროექტები), რომლის დროსაც ვითარდება ზემოაღნიშნული უნარები მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); გარდა ამისა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით გააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რომ აქტიურად მუშაობენ იმ მიმართულებით, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლებს კურიკულუმების შესაქმნელად, ძალიან ცოტა დრო ჰქონდათ ფიქსირდება მცირედი უზუსტობები, რომელთა დაკავშირებითაც სკოლას მიეცა ტექნოლოგიების საგნის ექსპერტის **რჩევები,** კერძოდ: ***<u>1.კურიკულუმის ჩარჩოში ზეოგიერთ კლასში გამორჩენილია სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები; 2.მე-5 კლასის კურკულუმის ჩარჩოში წამოდგენილი საკითხი "ციკლების გამოყენება ვიზუალური პროგრამირების გარემოში" (სამიზე ცნება ალგორითმთან) არ შეესაბამება აღნიშნულ კლასს .</u>***

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. დაწყებითი სააფეხურის მასწავლებელებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლა-სწავლების პროცესი დაგეგმილი უნდა იყოს მოსწავლეთა საჭიროებების, ასაკობრივი თავისებურებების და ინტერესების გათვალისწინებით, მათ პირად გამოცდილებასა

და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, რაც ნათლად ჩანს მასწავლებლების მიერ შერჩეულ აქტივობებში. კათედრის წევრებთან პირისიპირ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ შეუძლიათ, განსაზღვრონ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, ჩართონ ისინი აქტიურ სასწავლო პროცესში. ინტერვიუს მიმდინარეობისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოში დოკუმენტურად არ აუსახავთ, დიფერენცირებული სწავლების რომელ სტრატეგიებს გამოიყენებენ, თუმცა კომპლექსური დავალებებით სწავლება, მათი აზრით, თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას.

ვინაიდან სკოლას არა აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების სისტემატიური პრაქტიკა, შესაბამისად კურიკულუმში კომპლექსური დავალებები წარმოდგენილია იდეების დონეზე. თუმცა ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან მიმართებით. მასწავლებლებს აქვთ მზაობა ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შესაქმნელად. თეორიულად იციან როგორ მოახდინონ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცირება და აქტივობების მორგება ინდივიდუალურად მოსწავლეებისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია მე-2 კლასის მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია

ისგ-ს ჯგუფის ოქმები სადაც ჩანს , რომ კლასის დამრიგებლები, საგნის მასწავლებელი და სპეც მასწავლებელი ერთად მუშაობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე. ამასთანავე წარმოდგენილია მოსწავლის მიერ შესრულებული ნამუშევრები სადაც ჩანს დიფერეცირებული მიდგომები. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ფარგლებში. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები დაგეგმილია ისეთნაირად, რომ იძლევა სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების საშუალებას, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასების პირველ მოდელს, განმავითარებელ შეფასებას ყველა კლასში და განმსაზღვრელს - V-VI კლასებში . მტკიცებულების სახით სკოლამ წარმოადგინა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამასთანავე წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმის პირველად ვერსიაზე მუშაობის პროცესის ამსახველი ოქმი სადაც, ვკითხულობთ, რომ სკოლა მომდევნო სასწავლო წელს აპირებს შეიმუშაოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები,რომლებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სადაც გაწერილი იქნება თუ რა მოლოდინი აქვს მასწავლებელს სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებთან დაკავშირებით. შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა **ტექნოლოგიები:** *შეიმუშავოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. ისე, როგორც ეს სანიმუშო რუბრიკაში აქვთ წარმოდგენილი.*

ქართული ენა და ლიტერატურა: *განმავითარებელი რუბრიკები კომპლექსური დავალებებისთვის დაეფუძნოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და თვითონ დავალების კრიტერიუმებს, ხოლო განმსაზღვრელისა (მე-5 კლასის მეორე სემესტრი, მეექვსე კლასი) -სტანდარტის ზოგად ინდიკატორებსა და დავალების კრიტერუმებს, ანუ ისე, როგორც ეს სანიმუშო რუბრიკებში აქვთ წარმოდგენილი.*

ფიზიკური აღზრდა: *შეიმუშავონ წერილობითი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას და გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა შემაჯამებელი წერების შედეგების ანალიზს, კათედრის წინა სასწავლო წლის სემესტრულ და შემაჯამებელ ანგარიშებს. აგრეთვე ითვალისწინებენ წარმატებულ გამოცდილებას, რათა მოდევნო სასწავლო წელს კურიკულუმში შეიტანონ ცვლილებები: დაგეგმონ ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებისათვის იქნება მამოტივებელი და გაზრდის მათ აკადემიურ მოსწრებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, რის საფუძველზეც სკოლა ქმნის

რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ყოველივე ამის შედეგად ხდება წინა წლების გამოცდილების გათვალისწინება და ახალ კურიკულუმში ასახვა. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმების შემუშავებისას, გათვალისწინებულია დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილება. გრძელვადიან მიზნად განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, ხოლო შუალედური მიზანი კომპლექსური ბუნების დავალების სახითაა წარმოდგენილი. ინტერვიუზე ასევე აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში აქტიურად თანამშრომლობდნენ კათედრის წევრები, აანალიზებდნენ მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებებს. აღნიშნული მსჯელობა იძლევა შემდეგი დასკვნის საფუძველს, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კათედრის ოქმები
2. სამუშაო შეხვედრის ოქმი დიფერენცირებულ სწავლებაზე;
3. დანართი45-4.2.3. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა -2022-2023 სასწავლო წელი
4. კურიკულუმი, საგნობრივი პროგრამები
5. დანართი46-4.2.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმი N1
6. დანართი47-4.2.3. ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილ მასალებზე, მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებზე, დამზადებულ თვალსაჩინოებებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარმართულია ისეთი აქტივოებებით, მეთოდებით და სტრატეგიებით, რომელშიც მოსწავლე შემოქმედებითადაა ჩართული. 2023-2024 წლის კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. კომპლექსური დავალებების იდეებში აშკარად იკვეთება, რომ კათედრა ზრუნავს მასზედ, რომ მოსწავლე ინტერესით ჩართოს სასწავლო პროცესში და გაუაქტიუროს შემოქმედებითი უნარები, კომპლექსური დავალების ფარგლებში შექნილი პროდუქტების მრავალფეროვნება ამის დასტურია. მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების

გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. რაც იძლევა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობას და განაპირობებს მოსწავლის მაღალ ჩართულობას აქტივობებში. მტკიცებულებით წარმოდგენილია განხორციელებული კომპლექსური ბუნების დავალება „პირობითი ნიშნების შესახებ“ , მოსწავლეთა ნამუშევრები და პროექტები :“ტოლერანტობა“,რომლებშიც ნათლად ადასტურებს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ პროექტებში და კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეების მიერ შესრულებულ მრავალფეროვან ნამუშევრებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივ კურიკულუმებში კათედრებს განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც არის წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; წარმოდგენილ კურიკულუმებსა და მატრიცაზე დაყრდნობით ცხადია, რომ სასწავლო პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის ეტაპობრივად, ნაბიჯ - ნაბიჯ მიყვანას ახალ ცოდნამდე. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალების იდეის ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებულია მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას და ახალ ცოდნას აგებენ ნაბიჯ ნაბიჯ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწყებითი საფეხურის კათედრის სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა იმის საშუალებას რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, რაც იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპში, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. კათედრის წევრებთან გასუბრების შედეგად დასტურდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს და სასწავლო პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სასწავლო თემები, რომელთა დამუშავების შედეგადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს გაიაზროს პროცესი, მოიძიოს განსხვავებული გზები პრობლემის გადასაჭრელად და გამოიტანოს დასკვნა. კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რამდენადაც ამ ტიპის დავალება თავის თავში მოიაზრებს სტრატეგიებზე საუბარს გასიტყვებისას: რა გააკეთე, როგორ დაგეგმე, რა ნაბიჯები გადადგი, რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა, ახლა რომ იწყებდე მუშაობას დავალებაზე, რას გააკეთებდი განსხვავებულად და ა.შ. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი პროგრამები, კურიკულუმის ჩარჩოები და ზოგიერთ შემთხვევაში მოცემული კომპლექსური დავალებები, მასწავლებლების მიერ დასმული შეკითხვები გვაძლევს იმის საშუალებას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული). მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე

ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის ცოდნის სამი კატეგორია გაწერილი იქნება კომპლექსურ დავალებებში, რომლის მიზანი იქნება მოსწავლის მიერ შემოქმედებითი პროდუქტის მიღება. ამ ყველაფერს ხელს უწყობს პროექტული სწავლება, რომელიც განხორციელებული იქნება. ვკითხულობთ თვითშეფასებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში ეხმარება: კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. კათედრაზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება. ინტეგრირებული გაკვეთილები, სასკოლო პროექტები, ადასტურებს მათ მიერ შექმნილი ეკოსისტემის მოდელები, რომლებიც წარმოადგინეს მასწავლებლებმა ვიზუალური დათვალიერების დროს. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია სწავლის სტრატეგიების დაუფლება, სწავლის პროცესში ეფექტური ხერხებისა და მიდგომების გამოყენება, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს ისაუბრა მის მიერ განხორციელებულ არაერთ ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობების შესახებ, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა განახორციელეს ისეთი აქტივობები, რომელიც მოითხოვს ცოდნათა მობილიზებას და ურთიერთდაკავშირებას. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის ჩარჩოები
2. თანდართული მატრიცების სამუშაო ვერსიები.
3. სასწავლო პროექტები
4. კურიკულუმები, კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები
5. ტექნოლოგიები: დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები;
6. პროექტი ,, **ტოლერანტობა ჩვენი მომავალი"**
7. III კლასის კომპლექსური ბუნების დავალება ;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში , სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება. სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები და ქვეცნებები. შუალედური მიზნები განისაზღვრება კომპლექსური ბუნების დავალების სახით, რომელსაც მივყავართ გრძელვადიან მიზნებამდე, აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას და საგნობრივ საკითხებს შორის. მტკიცებულების სახით წარმოდგენილ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებში ხაზგასმით წარმოსადგენი კრიტერიუმები უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენების გრძელვადიან პერსპექტივაში დაუფლებას. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისა. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების გასიტყვების ნაწილი, ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები. სასურველი სასწავლო საკითხების შერჩევა ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობები ასაკობრივი თავისებურებების, წინარე ცოდნის გათვალისწინებით, რათა მოსწავლეებში არ გამოიწვიოს შფოთი და არ შეექმნათ დისკომფორტი. მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული კომპლექსური დავალებები მიმართულია არა

მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. სწავლების პროცესში მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს ამოიცნოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ,დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა და გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. აქცენტი კეთდება უახლოესი განვითარების ზონაზე, საგნობრივი საკითხები იმგვარადაა მოსწავლისათვის მიწოდებული, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მისთვის. ამსათან განხორციელებული ერთ-ერთი პროექტის მიზანი ,, ტოლერანტობა ჩვენი მომავალი" , ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწყებითი საფეხურის კათედრასთან გასაუბრების დროს იკვეთება, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა შეფასებას, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი ფორმით. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, კრიტერიუმების და ანალიზის მიხედვით. შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის ყველა გარემოებას და არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ აფასებს ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რომელიც სკოლას ნიმუშის სახით აქვს წარმოდგენილი, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მოსწვლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით წარმოდგენილია სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ასევე ისიც, რომ შეფასება

ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის, ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუში იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მოსწავლეთა შეფასება არის ობიექტური, ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში მოცემულ სამიზნე ცნებებთან. შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ის შემუშავებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ და მოსწავლემ უნდა იცოდეს როგორ და რაში ფასდება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით და პირისპირ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს რამდენიმე ნიმუში განმავითარებელი კომენტარებით და უკუკავშირებით, რომლებითაც დასტურდება რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპებით. პირისპირ საუბრისას გამოიკვეთა რომ მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან შეფასების რუბრიკებს, რაც გამჭირვალობის დასტურია. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს. სკოლა ირჩევს შეფასების ერთ კომპონენტიან სისტემას. დაწყებით საფეხურზე 1-4 კლასში განმავითარებელი შეფასება, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ საგნობრივი კათედრები, ხოლო მონიტორინგს უზრუნველყოფს ადმინისტრაცია და ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლის მიერ დირექტორის #2-86 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, უზრუნველყოფს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამავე დოკუმენტის მიხედვით სკოლა ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის

ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები და ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). როგორც დოკუმენტში იკითხება, ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები თავის ფუნქციებს განახორციელებენ შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. მოცემული დოკუმენტითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუთი დგინდება, რომ სკოლა იცავს დოკუმენტების წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლა იყენებს ელქტრონულ ჟურნალს. მოსწავლეთა მიერ კონკრეტული საგნის დაძლევის საფუძველი ასახულია როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. სკოლა მომავალშიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმი;
2. სასწავლო პროექტები;
3. შეფასების რუბრიკები
4. კურიკულუმები, კურიკულუმში ჩაშენებული სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები
5. ვერიფიკაციის მექანიზმი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, სკოლის შენობა რეაბილიტირებულია, ადაპტირებულია სსსმ და შშმ მოსწავლეთა საჭიროებებზე. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, პერიოდულად ტარდება ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგი. კურიკულუმის ჩარჩოები და კომპლექსური დავალების იდეებში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის შესაძლებლობები. კურიკულუმები ყველა მოსწავლისათვის სწავლის თანაბარ შესაძლებლობას ქმნის. სკოლაში არის დაცული ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას. ბუნებრივია მოსწავლეებს ასეთ გარემოში თამამად შეუძლიათ ნებისმიერი მათთვის ძნელად აღსაქმელი თუ გაუგებარი საკითხის გასარკვევად მიმართოს ნებისმიერ მასწავლებელს და მიიღონ შესაბამისი დახმარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, მოსწავლეებს ეძლევათ ისეთი დავალებები, სადაც საბოლოო პროდუქტის არჩევანის საშუალება აქვთ. სკოლის/მასწავლებლების მიერ დაგეგმილ მრავალფეროვან აქტივობებში მასწავლებელთან ინტერვიუს დროს დგინდება რომ გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების სფერო. განსაკუთრებით მოსწავლეზე ორიენტირებულია ის პროექტები, სადაც

მოსწავლეები საკუთარი სურვილთ ერთვებიან რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას უზრუნველყოფს. ყველა მოსწავლე თავს გრძნობს დაცულად, აქვთ თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთონ სასწავლო პროცესში ერთნაირად თავიათი შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. თანამშრომლობითია სასწავლო პროცესი, მასწავლებლები ახდენენ პერიოდულ გამოკითვებს დიაგნოსტიკური შეფასებებისთვის და მოსწავლეთა საჭიროებების კვლევისთვის და ახდენენ ფორმალური და არაფორმალური პროექტების შემუშავებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. სასკოლო საზოგადოება როგორც სხდომებზე, ასევე არაფორმალურ შეხვედრებზე უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს და ითვალისწინებენ ერთმანეთის შეხედულებებს, ხდება მოსწავლეებთან აქტიური კომუნიკაცია, პედაგოგთა შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. სამეურვეო საბჭოს წევრები/მშობლები ინფორმირებულნი არიან სასწავლო პროცესში შემოთავაზებული ინოვაციების დანერგვის შესახებ. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის მიზანია სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება. კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები ცხადყოფს ასევე, რომ, სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შექმნილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თითოეული მასწავლებელი და ადმინისტრაცია ერთობლივად ცდილობენ სკოლაში შექმნან მაქსიმალურად პოზიტიური და ჰარმონიული ატმოსფერო. კათედრების წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ

გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, რაც უზრუნველყოფს მაღალ მიმღებლობას. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის.

სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურს კურიკულუმი
2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
4. სასკოლო სასწავლო გეგმა
5. კათედრის შემაჯამებელი ოქმი
6. სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასებისთვის სკოლამ კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრა, რომ ყოველწლიურად მოახდინოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა-ანალიზი. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად ,ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. შესაბამისად, მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესების კვლევა-ანალიზზე დაფუძნებით, რომელშიც ჩართული იქნებიან სასკოლო საზოგადოების წევრები.სკოლას აქვს სამომავლო ხედვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება. ასევე, სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით, შეფასება მრვალფეროვანია და ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს. შეფასებაზე ისაუბრეს მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას და აღნიშნეს, რომ გეგმავენ ძველი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამრავალფეროვნებას მომავალი სასწავლო წლისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, ხორციელდება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი

ინფორმაციის მოპოვებით. მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, აქტივობებში ჩართულობასა და სამიზნე ცნებების განვითარებაზე ორიენტირებით. სკოლამ გამოთქვა მზაობა ამ პროცესის დახვეწისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ამ ეტაპისთვის ნაკლებადაა გამოყენებული შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, თუმცა მასწავლებლები მომდევნო სასწავლო წლისთვის გეგმავენ, რომ შეფასებისას გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მოსწავლის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რომლისთვისაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები იქნება გამოყენებული , მათ შორის სადიაგნოსტიკო შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს
5. ითვალისწინებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ და იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპებს და დიფერენცირებულ მიდგომის მეთოდებს. სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა სამომავლოდ უფრო დახვეწოს შეფასებისთვის საჭირო ყველა მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო-სასწავლო გეგმა
2. შეფსების რუბრიკები
3. საგნობრივი კურიკულუმები
4. სასკოლო გეგმა
5. სკოლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში მიღებულ შესაბამის მონაცემებს და შემდეგ ხდება მათი ანალიზი კათედრის სხდომებზე. განხილულ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე კათედრები შეიმუშვებენ რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები. განიხილება ამ პრობლემების გადაჭრის გზები მათი კურიკულუმში ასახვის მექანიზმები. შესაბამისად, სკოლა

გამოხატავს მზაობას, შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე). ამის შემდეგ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, რისთვისაც სკოლა გამოხატავს მზაობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლას აქვს ამის პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას. კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და რომ მისი კონცეპტუალური ჩარჩო სწორედ მასწავლებლის, მშობლების, დირექციის და სასკოლო თემის სხვა წარმომადგენლების გამოცდილებების თავმოყრისა და გაანალიზების შედეგად იქმნება.

საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში. ხდება კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. გამოკითხვის მეშვეობით ხდება მოსწავლეთა და მშობლების ინტერესების იდენტიფიცირება, საჭიროებების გამოკვეთა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმის შემუშავება საბაზო საფეხურზე ხდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; რეკომენდაციების საფუძველზე ხდება კურიკულუმების შემუშავება, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კათედრებზე შეჯერდება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფექტიანად განხორციელდება სასწავლო პროცესში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა, მოხდება გაზიარება და მომდევნო სასწავლო წელს გათვალისწინება. ხოლო ის დავალებები და აქტივობები, სადაც გამოიკვეთება გარკვეული გამოწვევები, მოდიფიცირდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად. წარმოდგენილ დოკუმენტაციით დგინდება, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ყველა საგნის მასწავლებელი, ისინი კონსტრუქციულად თანამშრომლობენ, უზიარებენ თავიანთ შეხედულებებს, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად ხდება კურიკულუმების შემუშავება. შორაპნის სკოლაში მასწავლებელი მთავარი ფიგურაა კურიკულუმის განვითარებაში. მის მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი არის სწორედ ის, რაც კურიკულუმს განავითარებს. პირველ ეტაპზე მასწავლებელი შეიმუშავებს საგნობრივ კურიკულუმს, განიხილავს კოლეგებთან ერთად

კათედრაზე, უკუკავშირის, გასული წლების გამოცდილების გაზიარებისა და შეჯერების შემდეგ შემუშავდება საბოლოო ვერსია, ამას მოყვება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონცეპტუალური იდეების განხილვა, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით.საბოლოოდ იგი მტკიცდება პედსაბჭოზე. სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია სკოლის ადმინისტრაცია,რაც მხარდაჭერასა და პროცესების მიზნობრივი მართვით გამოიხატება. მასწავლებლები ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღნიშნავენ კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრის წევრების გუნდურობას, აგრეთვე, აპირებენ სხვა საგნობრივ კათდრებთან ერთად ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური ტიპის დავალებების დაგეგმვას და კურიკულუმებში ჩართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს, კურიკულუმზე მუშაობს სასკოლო საზოგადოება, ხოლო რაც შეეხება კურიკულუმის დამტკიცებას, ის თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი (გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა,სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. საბაზო საფეხურის კურიკულუმს იზიარებს და მხარს უჭერს სასკოლო პედაგოგიური საზოგადოება, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა -გაზიარება ხდება სასკოლო თემში, მშობლის ინფორმირება ხდება სოცქსელის, შეხვედრების, მშობლის ბარათების, ღია კარის, ან მსგავსი ტიპის ღონისძიებების საშულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
2. კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობების/მასალები;
3. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;

1.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მათში მოცემული კომპლექსური დავალებების იდეები/აქტივობები, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მასწავლებლები აძლევენ მოსწავლეებს საშუალებას თავად გადაწყვიტონ, როგორ წარმოადგენენ დავალებას - PPT პრეზენტაციის სახით, ზეპირ სიტყვიერად თუ პოსტერის საშუალებით და ა.შ. მანვე უნდა გადაწყვიტოს, როგორ გააფორმებს პრეზენტაციას ვიზუალურად. სასწავლო ლაბორატორიების დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ახალ ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი, სავენტილაციო სისტემები, მიყვანილია წყლის მილები და სკოლა ელოდება ინვენტარს ახალი სასწავლო წლისთვის. ასევე, კურიკულუმები, რომლებიც შექმნეს მასწავლებლებმა, არის მოსწავლეზე ორიენტირებული. კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შედგენილი. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმებში ძირითადად

მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები. შორაპნის სკოლა არაა ახალი სკოლის მოდელში ჩართული, შესაბამისად, არა აქვთ კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად ამისა, ქართულ ენასა და ლიტერატურაში *საბაზო საფეხურზე* შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების შესაქმნელად, როგორც ცნობილია, ძალიან ცოტა დრო ჰქონდათ სკოლებს, აქედან გამომდინარეობს ხარვეზები, რომლებიც შეინიშნება საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, და რომელთა შესახებაც სკოლას მიეცა ***<u>რჩევები სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტისგან: კერძოდ, 1.ცნებები უნდა გაიწეროს ყველა თემატური ერთეულის გასწვრივ, 2. კარგად გამოიკვეთოს თემის დასახელება, 3. მიეთითოს, რომელი სახელმძღვანელოთი ასწავლიან, 4. სადაც კომპლექსური დავალება მუშავდება, ქვესაკითხებს არ ვწერთ კურიკულუმში.</u>*** კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ ხარვეზები და სექტემბრამდე გეგმავენ მათ გამოსწორებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, სასწვლო პროცესში გააქტიურონ მოსწავლის გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი) და განუვითარონ მოსწავლეებს გამჭოლი კომპეტენციები (მაკროცნება), გააზრებული აქვთ კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები, რომლებიც მიმართული და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ექვსივე გლობალური ფუნქციური უნარის სათანადოდ დამუშავებას. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). აღნიშნულის გარდა კათედრა მიმართავს პროექტულ მუშაობასაც (იხ. საბაზო საფეხურის მასწავლებელთა მიერ განხორციელებული პროექტები), რომლის დროსაც ვითარდება ზემოაღნიშნული უნარები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრებების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირბულ/ინკლუზიურ მიდგომებს. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც ინდივიდი თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. ამის გათვალისწინებით ხდება სასწავლო მეთოდების, აქტივობების შერჩევა. შერჩეული კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობებს იძლევა. განსაკუთრებით საყურადღებოა სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა, რომელიც გულისხმობს მოსწავლეზე ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა, რომ მოახდინონ თემატური მატრიცების ადაპტირება. უცხოურ ენაში წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიით შეფასების მაგალითი Vll კლასის მაგალითზე. იკვეთება, რომ შეფასების კრიტერიუმების ჩარჩო მორგებულია მოსწავლეების ინტერესებსა და შესაძლებლობებს. საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს რომ სკოლას აქვს პრაქტიკა გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. ასევე გასასვლელი ბარათების სხვადასხვა ტიპი. წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ემსახურება სხვადასხვა სწავლის სტილისა და ინტელექტის მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროების გათვალისწინებას, სასწავლო პროცესს ხდის მრავალფეროვანს.

წარმოდგენილია ერთ-ერთი მოსწავლისთვის ისგ. რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

რჩევა მიეცა მათემატიკის საგნობრივი ექსპერტისგან: ***<u>შექმენით და გამოიყენეთ დიფერენცირებისათვის სხვადასხვა ინსტრუმენტები, რომლებიც დაგეხმარებათ მოსწავლეთა დიფერენცირებაში; მაგალითად: სადიაგნოსტიკო ტესტები ყველა თემისთვის, მეტი კონკრეტიკისთვის- ასევე, საკითხებზე მორგებული ტესტები, გამოიყენეთ math.ge-ს საიტი, სადაც გაზიარებულია დიაგნოსტირებისთვის ტესტები და სხვადასხვა რესურსები.</u>***

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.საბაზო საფეხურის კათედრების წევრებს შემუშავებული აქვთ შეფასების რუბრიკები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებისათვის. 2023-2024 წლის რუბრიკებს შეიმუშავებენ ახალი სასწავლო წლისთვის, თუმცა აქვთ ექსპერიმენტებისა და კვლევის ჩატარების შეფასების რუბრიკები. აცნობიერებენ და აქვთ მზაობა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ორიენტირებული იყოს სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე. კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. შეფასების სისტემა ეყრდნობა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებას, რომელიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისა და მეთოდიკურ ორიენტირების გააქტიურებას. მოსწავლეებისათვის უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, კათედრაზე არის გამოცდილება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნის. თუმცა სამიზნე ცნებებთან მიმართებით თითოეული თემის ფარგლებში მოდევნო სასწავლო წლისათვის შექმნიან ყველა შეფასების რუბრიკას, რომელიც შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ შორაპნის სკოლა ე.წ. არჩართული სკოლაა, ამ ეტაპისთვის წარმოადგინეს შეფასების რუბრიკების ნიმუშები - შექმნილი გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით. მასწავლებლებში ჩანს ხედვა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ, თუ როგორ უნდა შექმნან გნმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული დავალებისათვის. *კათედრას მიეცა* ***რჩევა სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტისგან, <u>რომ განმავითარებელი რუბრიკები კომპლექსური დავალებებისთვის დაეფუძნოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და თვითონ დავალების კრიტერიუმებს, ხოლო განმსაზღვრელისა - სტანდარტის ზოგად ინდიკატორებსა და დავალების კრიტერუმებს, ანუ ისე, როგორც ეს სანიმუშო რუბრიკებში აქვთ წარმოდგენილი.</u>*** ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.

რჩევა ფიზიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტისგან, *<u>შეიმუშავონ წერილობითი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდის საგანში.</u>* ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.საბაზო საფეხურიზე მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები დაფუძნებულია წინარე ცოდნის ანალიზზე. მასწავლებლები სამუშაო შეხვედრების ფორმატში განიხილავენ წარმატებულ და წარუმატებელ აქტივობებს, ასეთი განხილვებისას მასწავლებლები აანალიზებენ რატომ იყო ესა თუ ის აქტივობა წარუმატებელი, სახავენ გამოსწორების გზებს შეაქვთ კორექტივები, უკეთებენ მოდიფიცირებას.

დოკუმენტების შესწავლისას და დამატებით ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე ცოდნის გამოცდილების ანალიზს, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით წინარე ცოდნის დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კათედრის ოქმები
2. სამუშაო შეხვედრის ოქმი დიფერენცირებულ სწავლებაზე;
3. დანართი45-4.2.3. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა -2022-2023 სასწავლო წელი
4. დანართი46-4.2.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმი N1
5. დანართი47-4.2.3. ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საბაზო საფეხურის კათედრებზე კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეები მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება და ინტერვიუში აღნიშნეს, რომ აკვირდებიან სასწავლო პროცესს, რათა ყველა სირთულე გაითვალისწინონ და ისე დაგეგმონ 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმი. მოსწავლე კეთების პროცესში ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. ლაბორატორია, რომელიც აღიჭურვება ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის თვალსაჩინოებებით, სხვადასხვა დანადგარებით, მოსწავლეებს მისცემს საშუალებას გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ჩაერთონ აქტიურად და შემოქმედებითად სასკოლო ცხოვრებაში. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციასა და ინტერესებზე, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ხდის შემოქმედებითს და მოსწავლეს სძენს დაგეგმვისა, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის უნარებს.

მასწავლებლებმა აიდენტიფიცირებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და საჭიროებებს, რაც მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, კურიკულუმები განვითარებადია და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მაქსიმალურად დაიხვეწება. არის მზაობა კომპლექსური დავალებებით აქტიური სწავლების, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საბაზო საფეხურის კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, მოსწავლისათვის ნაცნობი შინაარსის მქონე კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებშიც, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ დაშენებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგალითად, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს ისაუბროს მისთვის ნაცნობი პრობლემასა და მისი გადაჭრის გზებზე, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიების დაუფლებაზე, იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის სასკოლო კურიკულუმში და კომპლექსური დავალებების პირობებში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმართულია სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, ცნობისმოყვარეობაზე დაყრდნობით როგორ უზრუნველყოს მოსწავლემ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. **რჩევა:**

საბუნებისმეტყველო საგნებში ექსპერიმენტებისა და ცდების განხორციელებებისას, აუცილებელია მოსწავლეებმა აწარმოონ დაკვირვების დღიურები, ცდის ოქმები, რათა თავად შეძლონ დასახული პრობლემის ირგვლივ გადასაჭრელი გზების ძიება, რაც ეტაპობრივად დაეხმარება მათ სწორად და მიზნობრივად დაგეგმონ საკუთარი სწავლების პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.საბაზო საფეხურის კათედრების მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან და გასაუბრებიდან, საგნობრივი კურიკულუმიდან, კომპლექსური დავალებებიდან, არაფორმალური აქტივობებიდან, პროექტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაზე და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებაზე. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი პრაქტიკაში რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. რაც ინტერვიურების დროს გამოიკვეთა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.საბაზო საფეხურის კათედრების მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების და კურკულუმის ჩარჩოებში მოცემული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ სწავლების პროცესი აგებულია ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთკავშირებაზე. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. მოსწავლეები ახდენენ სხვადასხვა მოვლენებისა და პროცესებს შორის მსგავსება-განსხვებების გამოკვეთას, შესწავლილ მოვლენას უკავშირებენ ცხოვრებისეულ პროცესებს და

აკეთებენ დასკვნებს. ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში სკოლას ასევე ეხმარება ინტეგრირებული გაკვეთილები, არაფორმარული განათლება, ექსკურსიები, ლაშქრობები, სასწავლო და საკლასო პროექტები. ახალ კურიკულუმებში გათვალისწინებული იქნება ისეთი პროექტები, სადაც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთკავშირზე იქნება აქცენტი გაკეთებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის ჩარჩოები
2. თანდართული მატრიცების სამუშაო ვერსიები.
3. სასწავლო პროექტები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კათედრების საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის კავშირი გრძელვადიან მიზნებთან. შუალედური სასწავლო მიზნები აზუსტებენ სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს და მიემართება

საგნობრივი საკითხის მრავალმხრივი გააზრებისკენ. აერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება საფეხურის სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებების იდეებში იკვეთება სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ლოგიკური მიმართება. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში, მასწავლებლები ესწრებოდნენ ვებინარებს არაჩართული სკოლებისთვის, გეგმავდნენ და ახორციელებდნენ კომპლექსურ დავალებებს. პედაგოგები გეგმავენ, ახალი სასწავლო წლიდან მეტი ყურადღება დაუთმონ კომპლექსური დავალებებით მუშაობას, რაც უზრუნველყოფს მუშაობას სამიზნე ცნებებზე და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ მოწოდებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში კონტექსტები და საკითხები შერჩეულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიმართულებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობნ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. ასევე, ხორციელდება არაერთი პროექტი , ექსკურსია-ლაშქრობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საბაზო საფეხურის მასწავლებლები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ თითოეულ კომპლექსურზე განმავითარებელი შეფასების ახალი რუბრიკების გაწერას. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, მასწავლებლები მოტივირებული არიან, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეებს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ თითოეულ კომპლექსურზე მორგებულ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ახალი რუბრიკების გაწერას, ამ პროცესში აპირებენ მოსწავლეების ჩართვას, რაც გაზრდის სანდოობას. მოსწავლემ უნდა იცოდეს როგორ და რაში ფასდება შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. გამჭვირვალე, ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასება სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ის შემუშავებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, რასაც გეგმავს სკოლა. მომავალი სასწავლო წლისათვის კათედრები გეგმავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას, მასწავლებლები შეიმუშავებენ შეფასების მეთოდოლოგიას, შეფასების კრიტერიუმებს, გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, გამოკვეთენ რომელ სასწავლო შედეგს მიემართება შეფასება,,შესაბამისად, შეფასება იქნება ვალიდური. მოსწავლეებს ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა- ამ შემთხვევაში შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული უკუკავშირი

იქნება რეალისტური, დახვეწილი და არაორაზროვანი. ამ შემთხვევაში კი შეფასება იქნება სანდო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ ვიზიტის დროს წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, უზრუნველყოფს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამავე დოკუმენტის მიხედვით სკოლა ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები და ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). როგორც დოკუმენტში იკითხება, ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები თავის ფუნქციებს განახორციელებენ შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. მოცემული დოკუმენტითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ აქვთ მზაობა მონაცემბი შეინახონ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმი;
2. სასწავლო პროექტები;
3. შეფასების რუბრიკები
4. კურიკულუმები, კურიკულუმში ჩაშენებული სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები
5. ვერიფიკაციის მექანიზმი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში ღია მხარდამჭერი და მიმღებლობით გარემოა შექმნილი. სასკოლო პროექტები, განმავითარებელი შეფასების მეთოდოლოგია, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, განაპირობებს სკოლაში არსებულ მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გამოიყენებენ მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს, მათ შორის – ელექტრონულ რესურსებს. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. არსებულზე დაყრდნობით, მომავალ წელს გაუმჯობესდება სასწავლო პროცესში მხარდაჭერა და მიმღებლობა, კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები, ასევე მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია.

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეების განხორციელება მოსწავლეებს აძლევს პიროვნული ზრდის საშუალებას. სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. მოსწავლეები თავს გრძნობენ

თვითრეალიზებულად და სკოლის ორგანულ ნაწილად. სასკოლო ცხოვრების ნებისმიერი პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემებზე ორიენტირებით, რაც ქმნის სკოლაში ღია, მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.როგორც დოკუმენტაციის შესწავლის დროს, ასევე გასაუბრების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. ყველა მოსწავლე თავს გრძნობს დაცულად, აქვთ თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთონ სასწავლო პროცესში ერთნაირად თავიათი შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. თანამშრომლობითია სასწავლო პროცესი, მასწავლებლები ახდენენ პერიოდულ გამოკითვებს დიაგნოსტიკური შეფასებებისთვის და მოსწავლეთა საჭიროებების კვლევისთვის და ახდენენ ფორმალური და არაფორმალური პროექტების შემუშავებას. კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო სასწავლო გეგმის გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები, მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესში, მათი რეკომენდაციები ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლა უზრუნველყოფს ეფექტურად დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია).

3.სასწავლო პროცესში მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, მშობლებთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის მიზანია სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა,

სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება (ამას ადასტურების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი-ბრძანება N2-81). კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები ცხადყოფს ასევე, რომ, სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს უწყობს როგორც სკოლის შინაგანაწესი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაც. სკოლა მომავალში აპირებს სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში მოსწავლეებმაც მიიღონ მონაწილეობა. ეს გამოიწვევს სასკოლო პროცესებში მათ ჩართულობას და საკუთრების განცდას, რაც თავის მხრივ, გარემოსა და მოსწავლეთა განწყობებს გააუმჯობესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურს კურიკულუმი
2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. კათედრის შემაჯამებელი ოქმი
5. სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასებისთვის სკოლამ კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრა, რომ ყოველწლიურად მოახდინოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა-ანალიზი. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ

მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესების კვლევა-ანალიზზე დაფუძნებით, რომელშიც ჩართული იქნებიან სასკოლო საზოგადოების წევრები.სკოლას აქვს სამომავლო ხედვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება. ასევე, სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით, შეფასება მრვალფეროვანია და ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს. შეფასებაზე ისაუბრეს მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას და აღნიშნეს, რომ გეგმავენ ძველი

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამრავალფეროვნებას მომავალი სასწავლო წლისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, ხორციელდება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით. მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, აქტივობებში ჩართულობასა და სამიზნე ცნებების განვითარებაზე ორიენტირებით. სკოლამ გამოთქვა მზაობა ამ პროცესის დახვეწისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ამ ეტაპისთვის ნაკლებადაა გამოყენებული შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, თუმცა მასწავლებლები მომდევნო სასწავლო წლისთვის გეგმავენ, რომ შეფასებისას გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მოსწავლის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რომლისთვისაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები იქნება გამოყენებული , მათ შორის სადიაგნოსტიკო შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით,

შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ და იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპებს და დიფერენცირებულ მიდგომის მეთოდებს. სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა სამომავლოდ უფრო დახვეწოს შეფასებისთვის საჭირო ყველა მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო-სასწავლო გეგმა
2. შეფსების რუბრიკები
3. საგნობრივი კურიკულუმები
4. სასკოლო გეგმა
5. სკოლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

1.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება.

პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში მიღებულ შესაბამის მონაცემებს და შემდეგ ხდება მათი ანალიზი კათედრის სხდომებზე. განხილულ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე კათედრები შეიმუშვებენ რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები. განიხილება ამ პრობლემების გადაჭრის გზები მათი კურიკულუმში ასახვის მექანიზმები. შესაბამისად, სკოლა გამოხატავს მზაობას, შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე). ამის შემდეგ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, რისთვისაც სკოლა გამოხატავს მზაობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;

3. საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება - საშუალო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შორაპნის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას, საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც კარგად აისახა ასევე პედაგოგებთან გასაუბრებისას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში ნაწარმოები მონაცემების საფუძველზე. სკოლას აქვს ამის პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას. კურიკულუმს შეიმუშავებენ საგნის მასწავლებლები, კურუკულუმის შემდგომი განხილვა ხდება კათედრაზე იქმნება კურუკულუმების ბანკი. მასწავლებელთა თვითშეფასებაში და კათედრის ოქმებში ჩანს მათი ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავება საშუალო საფეხურზე ხდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; რეკომენდაციების საფუძველზე ხდება კურიკულუმების შემუშავება, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმს, ასევე ცდილობენ თავად

შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კათედრებზე შეჯერდება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფექტიანად განხორციელდება სასწავლო პროცესში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა, მოხდება გაზიარება და მომდევნო სასწავლო წელს გათვალისწინება. ხოლო ის დავალებები და აქტივობები, სადაც გამოიკვეთება გარკვეული გამოწვევები, მოდიფიცირდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად.

წარმოდგენილ დოკუმენტაციით დგინდება, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლა მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე კლასებში მოსწავლეებს სთავაზობს არჩევით საგნებს, რომლებსაც მოსწავლეები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ირჩევენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.საშუალო საფეხურის კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო პედაგოგიური საზოგადოების მიერ, გასაუბრებისას გამოჩნდა პედაგოგების თანამშრომლობა, რასაც ასევე ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტები. შორაპნის სკოლაში მასწავლებელი მთავარი ფიგურაა კურიკულუმის განვითარებაში. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ისინი კონსტრუქციულად თანამშრომლობენ, უზიარებენ თავიანთ შეხედულებებს, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად ხდება კურიკულუმების შემუშავება. მასწავლებლები ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღნიშნავენ კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრის წევრების გუნდურობას. გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა კათედრის წარმომადგენლებთან. ატარებენ როგორც ინტერგირებულ გაკვეთილებს, სექტემბრამდე გეგმავენ წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძვლიან გადახედვასა და დახვეწას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** 4.როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს, კურიკულუმზე მუშაობს სასკოლო საზოგადოება, ხოლო რაც შეეხება კურიკულუმის დამტკიცებას, ის თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი (გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო საშუალებები: სასკოლო

თემი, მშობლის ინფორმირება ხდება სოცქსელის,შეხვედრების, მშობლის ბარათების, ღია კარის, ან მსგავსი ტიპის ღონისძიებების საშულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
2. კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობების/მასალები;
3. საშუალო საფეხურის კურიკულუმები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მათში მოცემული კომპლექსური დავალებების იდეები/აქტივობები, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს

გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მასწავლებლები აძლევენ მოსწავლეებს საშუალებას თავად გადაწყვიტონ, როგორ წარმოადგენენ დავალებას - PPT პრეზენტაციის სახით, ზეპირ სიტყვიერად თუ პოსტერის საშუალებით და ა.შ. მანვე უნდა გადაწყვიტოს, როგორ გააფორმებს პრეზენტაციას ვიზუალურად. სასწავლო ლაბორატორიების დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ახალ ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი, სავენტილაციო სისტემები, მიყვანილია წყლის მილები და სკოლა ელოდება ინვენტარს ახალი სასწავლო წლისთვის.

კურიკულუმები, რომლებიც შექმნეს მასწავლებლებმა, არის მოსწავლეზე ორიენტირებული. კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შედგენილი. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმებში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები. შორაპნის სკოლა არაა ახალი სკოლის მოდელში ჩართული, შესაბამისად, ნაკლებად აქვთ კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად ამისა, *საშუალო საფეხურზე* შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების შესაქმნელად, როგორც ცნობილია, ძალიან ცოტა დრო ჰქონდათ სკოლებს, აქედან გამომდინარე სკოლას მიეცა ***<u>რჩევა მშობლიური ენის საგნობრივი ექსპერტისგან: მე-10 კლასში დაემატოს კომპლექსური დავალებები.</u>*** კათედრა გეგმავს, სექტემბრამდე სრულყოს კურიკულუმები და მოამზადონ მე-11 კლასის კურიკულუმიც.

2.საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, სასწვლო პროცესში გააქტიურონ მოსწავლის გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი) და განუვითარონ მოსწავლეებს გამჭოლი კომპეტენციები (მაკროცნება), გააზრებული აქვთ კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები, რომლებიც მიმართული და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მოსწავლის

პიროვნულ განვითარებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ექვსივე გლობალური ფუნქციური უნარის სათანადოდ დამუშავებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3 . წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრებების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირბულ/ინკლუზიურ მიდგომებს. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც ინდივიდი თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. ამის გათვალისწინებით ხდება სასწავლო მეთოდების, აქტივობების შერჩევა. შერჩეული კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობებს იძლევა. განსაკუთრებით საყურადღებოა სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა, რომელიც გულისხმობს მოსწავლეზე ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა, რომ მოახდინონ თემატური მატრიცების ადაპტირება. ვინაიდან სკოლა არ ახორციელებდა კომპლექსურ დავალებებს, კურიკულუმი წარმოდგენილია იდეების დონეზე. თუმცა ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან მიმართებით. მასწავლებლებს აქვთ მზაობა ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შესაქმნელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასების სისტემა ეყრდნობა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებას, რომელიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისა და მეთოდიკურ ორიენტირების გააქტიურებას. . მოსწავლეებისათვის უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, კათედრებზე არის გამოცდილება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნის. თუმცა სამიზნე ცნებებთან მიმართებით თითოეული თემის ფარგლებში მოდევნო სასწავლო წლისათვის შექმნიან ყველა

შეფასების რუბრიკას, რომელიც შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის. აცნობიერებენ და აქვთ მზაობა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ორიენტირებული იყოს სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე. მიუხედავად იმისა, რომ შორაპნის სკოლა ე.წ. არჩართული სკოლაა, ამ ეტაპისთვის წარმოადგინეს შეფასების რუბრიკების ნიმუშები - შექმნილი გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით. მასწავლებლებში ჩანს ხედვა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ, თუ როგორ უნდა შექმნან გნმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული დავალებისათვის. სახელმწიფო ენის კათედრას მიეცა **რჩევა** , *<u>რომ განმავითარებელი რუბრიკები კომპლექსური დავალებებისთვის დაეფუძნოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და თვითონ დავალების კრიტერიუმებს, ხოლო განმსაზღვრელისა -სტანდარტის ზოგად ინდიკატორებსა და დავალების კრიტერუმებს, ანუ ისე, როგორც ეს სანიმუშო რუბრიკებში აქვთ წარმოდგენილი.</u>*

საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდის საგანში სტანდარტის მიხედვით გვაქვს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. ამ ეტაპზე ამ საგანში ხორციელდება ზეპირსიტყვიერი განმავითარებელი შეფასება. წერილობითი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავების პროცესშია. სკოლას მიეცა *<u>რჩევა ფიზიკური აღზრდის საგნის ექსპერტისგან, შეიმუშავონ წერილობითი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდის საგანში.</u>* **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.დოკუმენტების შესწავლისას და დამატებით ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე ცოდნის გამოცდილების ანალიზს, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით წინარე ცოდნის დაყრდნობით. მასწავლებლები სამუშაო შეხვედრების

ფორმატში განიხილავენ წარმატებულ და წარუმატებელ აქტივობებს, ასეთი განხილვებისას მასწავლებლები აანალიზებენ რატომ იყო ესა თუ ის აქტივობა წარუმატებელი, სახავენ გამოსწორების გზებს შეაქვთ კორექტივები, უკეთებენ მოდიფიცირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კათედრის ოქმები
2. სამუშაო შეხვედრის ოქმი დიფერენცირებულ სწავლებაზე;
3. დანართი45-4.2.3. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა -2022-2023 სასწავლო წელი
4. დანართი46-4.2.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმი N1
5. დანართი47-4.2.3. ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საშუალო საფეხურის კათედრებზე კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეები მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება და ინტერვიუში აღნიშნეს, რომ აკვირდებიან სასწავლო პროცესს, რათა ყველა სირთულე გაითვალისწინონ და ისე დაგეგმონ 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმი. მოსწავლე კეთების პროცესში ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. ლაბორატორია, რომელიც აღიჭურვება ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის თვალსაჩინოებებით, სხვადასხვა დანადგარებით, მოსწავლეებს მისცემს საშუალებას გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ჩაერთონ აქტიურად და შემოქმედებითად სასკოლო ცხოვრებაში. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციასა და ინტერესებზე, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ხდის შემოქმედებითს და მოსწავლეს სძენს დაგეგმვისა, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის უნარებს.

მასწავლებლები აიდენტიფიცირებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და საჭიროებებს, რაც მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების

საშუალება. კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, კურიკულუმები განვითარებადია და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მაქსიმალურად დაიხვეწება. არის მზაობა კომპლექსური დავალებებით აქტიური სწავლების, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, მოსწავლისათვის ნაცნობი შინაარსის მქონე კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებშიც, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ დაშენებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიების დაუფლებაზე, იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის სასკოლო კურიკულუმში და კომპლექსური დავალებების პირობებში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმართულია სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, ცნობისმოყვარეობაზე დაყრდნობით როგორ უზრუნველყოს მოსწავლემ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. **რჩევა:** ***<u>საბუნებისმეტყველო საგნებში ექსპერიმენტებისა და ცდების განხორციელებებისას, აუცილებელია მოსწავლეებმა აწარმოონ დაკვირვების დღიურები, ცდის ოქმები, რათა თავად შეძლონ დასახული პრობლემის ირგვლივ გადასაჭრელი გზების ძიება, რაც</u>***

ეტაპობრივად დაეხმარება მათ სწორად და მიზნობრივად დაგეგმონ საკუთარი სწავლების პროცესი. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.საშუალო საფეხურის კათედრების მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან და გასაუბრებიდან, საგნობრივი კურიკულუმიდან, კომპლექსური დავალებებიდან, არაფორმალური აქტივობებიდან, პროექტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაზე და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებაზე. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი პრაქტიკაში რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი.

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული); საბაზო საფეხურის კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, ინტერვიუმაც გვიჩვენა, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალებების და კურკულუმის ჩარჩოებში მოცემული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ სწავლების პროცესი აგებულია ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთკავშირებზე. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან

ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. მოსწავლეები ახდენენ სხვადასხვა მოვლენებისა და პროცესების შორის მსგავსება-განსხვებების გამოკვეთას, შესწავლილ მოვლენას უკავშირებენ ცხოვრებისეულ პროცესებს და აკეთებენ დასკვნებს.

საშუალო საფეხურზე წარმოადგენილი კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. თვითშეფასებაში ვკითხულობთ: „ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში გვეხმარება ინტეგრირებული გაკვეთილები, არაფორმარული განათლება, ექსკურსიები, ლაშქრობები, სასწავლო და საკლასო პროექტები. ახალ კურიკულუმებში გათვალისწინებული იქნება ისეთი პროექტები, სადაც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთკავშირზე იქნება აქცენტი გაკეთებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის ჩარჩოები

2. თანდართული მატრიცების სამუშაო ვერსიები.

3. სასწავლო პროექტები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის კავშირი გრძელვადიან მიზნებთან. შუალედური სასწავლო მიზნები აზუსტებენ სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივი გააზრებისკენ. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება საფეხურის სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებების იდეებში იკვეთება სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ლოგიკური მიმართება. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში, მასწავლებლები ესწრებოდნენ ვებინარებს არჩართული სკოლებისთვის, გეგმავდნენ და ახორციელებდნენ კომპლექსურ დავალებებს. პედაგოგები გეგმავენ, ახალი სასწავლო წლიდან მეტი ყურადღება

დაუთმონ კომპლექსური დავალებებით მუშაობას, რაც უზრუნველყოფს მუშაობას სამიზნე ცნებებზე და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში კონტექსტები და საკითხები შერჩეულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიმართულებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის პრიორიტეტად სახავს მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიულ განვითარებას, ურთიერთპატივისცემის, სამართლიანობის , ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებას. კლასის დამრიგებლების მიერ წარმოდგენილი კლასის საათის გეგმები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ასევე, ხორციელდება არაერთი პროექტი , ექსკურსია-ლაშქრობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** 3.საშუალო საფეხურის კათედრების წევრები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრები ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვთ შესაბამისი ინსტრუმენტი. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ თითოეულ კომპლექსურზე განმავითარებელი შეფასების ახალი რუბრიკების გაწერას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საშუალო საფეხურის მასწავლებლები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ თითოეულ კომპლექსურზე მორგებულ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ახალი რუბრიკების გაწერას, ამ პროცესში აპირებენ მოსწავლეების ჩართვას, რაც გაზრდის სანდოობას. მოსწავლემ უნდა იცოდეს როგორ და რაში ფასდება შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. გამჭვირვალე, ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასება სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ის შემუშავებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ,რასაც გეგმავს სკოლა. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, **რომ** შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზანს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას და ვალიდურობას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის თვითშეფასების მიხედვით, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ საგნობრივი კათედრები, ხოლო მონიტორინგს უზრუნველყოფს ადმინისტრაცია და ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამავე დოკუმენტის მიხედვით სკოლა ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები და ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). როგორც დოკუმენტში იკითხება, ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები თავის ფუნქციებს განახორციელებენ შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:
ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. მოცემული დოკუმენტითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. სკოლას აქვს მზაობა შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია დახარისხებული, კათედრების მიხედვით შეინახოს წესის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმი;
2. სასწავლო პროექტები;
3. შეფასების რუბრიკები
4. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ღია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოა შექმნილი. სასკოლო პროექტები, განმავითარებელი შეფასების მეთოდოლოგია, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, განაპირობებს სკოლაში არსებულ მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გამოიყენებენ მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს, მათ შორის – ელექტრონულ რესურსებს. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. არსებულზე დაყრდნობით, მომავალ წელს გაუმჯობესდება სასწავლო პროცესში მხარდაჭერა და მიმღებლობა, კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები, ასევე მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია.

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეების განხორციელება მოსწავლეებს აძლევს პიროვნული ზრდის საშუალებას. სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით

შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საშუალო საფეხურის მასწავლებლები ერთობლივად მუშაობენ სასწავლო გეგმის შესაქმნელად, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს; უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში. მასწავლებლები იყენებენ კლასის მართვის ეფექტიან სისტემებს. ხელს უწყობენ და ახალისებენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. მოსწავლე თავად არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. სამომავლოდ სკოლა გეგმავს ისეთი მექანიზმის შემუშავებას, სადაც ასახული იქნება ამ პროცესის დამადასტურებელი მასალა. კათედრის კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის ფილოსოფიის ნაწილიდან გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. მასწავლებლები არჩევენ ისეთ სწავლების მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც სხვადასხვა შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალზედ ეფექტიანია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, მშობლებთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის მიზანია სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ

განვითარებაში დახმარება (ამას ადასტურების **სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი-ბრძანება N2-81**). კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო **კურიკულუმები** ცხადჰყოფს ასევე, რომ, სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს უწყობს როგორც სკოლის შინაგანაწესი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაც. სკოლა მომავალში აპირებს „სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში მოსწავლეებმაც მიიღონ მონაწილეობა. ეს გამოიწვევს სასკოლო პროცესებში მათ ჩართულობას და საკუთრების განცდას, რაც თავის მხრივ, გარემოსა და მოსწავლეთა განწყობებს გააუმჯობესებს. მოსწავლეებს განსაზღვრული უფლებების მინიჭება, აქტივობებში ჩართვა ხელს შეუწყობს სასკოლო და საკლასო გარემოს მიმართ მათი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავებას. "მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასებისთვის სკოლამ კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრა, რომ ყოველწლიურად მოახდინოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა-ანალიზი. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად ,ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. შესაბამისად, მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესების კვლევა -ანალიზზე დაფუძნებით ,რომელშიც ჩართული იქნებიან სასკოლო საზოგადოების წევრები.სკოლას აქვს სამომავლო ხედვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება. ასევე, სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით, შეფასება მრვალფეროვანია და ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს. შეფასებაზე ისაუბრეს მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას და აღნიშნეს, რომ გეგმავენ ძველი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამრავალფეროვნებას მომავალი სასწავლო წლისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, ხორციელდება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით. მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, აქტივობებში ჩართულობასა და სამიზნე

ცნებების განვითარებაზე ორიენტირებით. სკოლამ გამოთქვა მზაობა ამ პროცესის დახვეწისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ამ ეტაპისთვის ნაკლებადაა გამოყენებული შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, თუმცა მასწავლებლები მომდევნო სასწავლო წლისთვის გეგმავენ, რომ შეფასებისას გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მოსწავლის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რომლისთვისაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები იქნება გამოყენებული, მათ შორის სადიაგნოსტიკო შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ და იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპებს და დიფერენცირებულ მიდგომის მეთოდებს. სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა სამომავლოდ უფრო დახვეწოს შეფასებისთვის საჭირო ყველა მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო-სასწავლო გეგმა
2. შეფსების რუბრიკები
3. საგნობრივი კურიკულუმები
4. სასკოლო გეგმა
5. სკოლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში მიღებულ შესაბამის მონაცემებს და შემდეგ ხდება მათი ანალიზი კათედრის სხდომებზე. განხილულ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე კათედრები შეიმუშვებენ რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები. განიხილება ამ პრობლემების გადაჭრის გზები მათი კურიკულუმში ასახვის მექანიზმები. შესაბამისად, სკოლა

გამოხატავს მზაობას, შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე). ამის შემდეგ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, რისთვისაც სკოლა გამოხატავს მზაობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ირმა ხმელიძე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნინო შუბლაძე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

კახა გალდავა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

გვანცა მოლაშვილი უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტი

ნაია ენდელაძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

მარინე ჩახვაშვილი ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

მარინე ხუციშვილი სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

მზია დადვანი მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მაკა ნატროშვილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ქეთევან ქობალია სპორტის საგნობრივი ექსპერტი

23.10.2023
თარიღი